ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№359 (418) 12-19 აპრილი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## მაია-დარეჯან ჯიქია: ქართველი ვარ! საქართველო ჩემი სამშობლოა და აქ მე ვადგენ კანონებს!

გვ. 3-6



## “დანაშაულია იმის თქმა — ჩვენი გამომუშავებული დენი რა უფლებით უნდა მივანოდოთ აფხაზეთს”

გვ.2

## სვიატოპოლკ ჩეხი: მოგზაურობა კავკასიაში

თარგმანი ალ. კაკულიასი

გვ.4

## დენიზა სუმბაძე: მცხეთა – მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი

გვ.6



## ზვიად ყუშიტაშვილი: ბატონო ლეონიდ! არ მჯერა თქვენი და მაქვს უფლება ეჭვი შევიტანო თქვენში!

გვ.8

## იზა თამაზაშვილი: რა სიკეთეები მოაქვს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს

გვ.9

## მუხურში მეფუტკრეობის ლაბორატორიებს აშენებენ

გვ.11

## ნაპო მესხია: აფხაზების შემობრუნების და აფხაზეთის ერთიან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები

გვ.7



## კინორეჟისორ ნანა მჭედლიძის ხსოვნას

გვ.10

# ამბები აფხაზეთიდან

## მივიწყებული აფხაზური რიტუალი

ძველად, აფხაზეთში თებერვლის თვეში, მსხვილფეხა საქონლის გამრავლებისა და რძის მატებისთვის რიტუალს ატარებდნენ. მას **„ჟვაბრანი“** ერქვა. აფხაზი ეთნოლოგის, ინგა შამბას გადმოცემით, **„ჟვაბრანის“** რიტუალისთვის ოჯახის უხუცესი დიასახლისი საგანგებოდ აცხობდა პურს, საფუარის გარეშე.

**„ფაცხაში გაჩაღდებოდა ცეცხლი, კერა რომ გახურდებოდა, ნახშირისგან გაწმენდნენ, მოხარშავდნენ შქერის ფოთლებს, მასზე გააბრტყელებდნენ პურის ცომს, ზევიდან ისევ დააფენდნენ ფოთლებს და დაადებდნენ ნაკვერჩხალს. რიტუალისთვის საჭირო პური რომ გამოცხვებოდა, ოჯახის უხუცესი ქალი წარმოთქვამდა ლოცვას, მსხვილფეხა საქონლის ღვთაებას „ჟვაბრანს“ შესთხოვდა ხვავს, ბარაქას, საქონლის დაცვასა და გამრავლებას. შემდეგ გაიშლებოდა სადღესასწაულო სუფრა, საღამოს კი მიცვალებულთა მოსახსენიებელი სუფრა, სარიტუალო პურის გარეშე“,**– აღწერს აფხაზი ეთნოლოგი.

**„ჟვაბრანი“,** ისევე, როგორც ბევრი სხვა აფხაზური რიტუალი წარმართული და ქრისტიანული შეხედულებების ნაერთია,– უთხრა ჟურნალისტს ქართველმა ეთნოლოგმა ნუგზარ ანთელავამ. მისივე თქმით, **„ჟვაბრანის“** პატივსაცემად დღესასწაული ყველიერის შაბათს სრულდებოდა.

**„საამდღისოდ აცხობდნენ ფეტვის პურს, შუა ნაწილში ათავსებდნენ ე.წ. წმინდა ყველს, ოჯახის უფროსი ლოცულობდა და თან უხმობდა საქონელს ძახილით „უოოცვ, უოოცვ“**, – აღწერს ნუგზარ ანთელავა წიგნში **„აფხაზური მითები და რიტუალები“,** რომელიც 2005 წელს გამოიცა აფხაზურ ენაზე. გამოცემის ნაწილი აფხაზეთშიც გავრცელდა.

ქართველი ეთნოლოგი ამბობს, რომ აფხაზური რიტუალები ჩრდილოკავკასიური გავლენის მიუხედავად, ქართული დღესასწაულების იდენტურია.

**„საქორწილო რიტუალი, ასევე მიცვალებულის გლოვასთან და მის დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, წარმოდგენები საიქიო ცხოვრებაზე, სამშობიარო ციკლის რიტუალები, წვიმისა და მზის გამოწვევასთან დაკავშირებული მაგიური ხერხები, და სხვადასხვა წარმოდგენები ერთნაირი გვაქვს“,** – გვითხრა ნუგზარ ანთელავამ.

აფხაზი თეოლოგი ინგა შამბა ამბობს, რომ დღევანდელ აფხაზეთში, **„ჟვაბრანს“** გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ, ცოტა ვინმე თუ ასრულებს. მისივე თქმით, აფხაზეთში სხვა რიტუალებიც მივიწყებულია.

**ნანა ხუბუტია**

## *აფხაზეთში ენერგოკრიზისი არ უნდა დავუშვათ!*

## “დანაშაულია იმის თქმა – ჩვენი გამომუშავებული დენი რა უფლებით უნდა მივაწოდოთ აფხაზეთს”

**“ენგურჰესის”** წყალსაცავში წყლის დო-



ნის კლების გამო, აფხაზეთს ელექტროენერგიის გარეშე დარჩენა ემუქრება. ამის შესახებ აფხაზური მედია წერს. დეფიციტის შესახებ ინფორმაცია ენერგეტიკის მინისტრმა კახი კალაძემაც დაადასტურა. მისი თქმით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო პრობლემის მოგვარებაზე მუშაობს.

რამდენად დგას საფრთხის ქვეშ აფხაზური მხარის ელექტროენერგიის გარეშე დარჩენა, კომენტარისთვის **ენერგეტიკოს გია არაბიძეს** ვთხოვეთ:

**“ენგურჰესის”** წყალსაცავში წყლის დონის კლება აფხაზებისთვის მართლაც დიდი პრობლემაა და ამით მათ რეალურად შეექმნებათ ელექტრო-ენერგიის დეფიციტი. პრაქტიკულად შეუძლებელია მათ რუსეთიდან მიიღონ ენერგია. კი, არსებობს სოჭის 220-იანი გადამცემი, თუმცა აქედან ელექტრო-ენერგიის მიღება ძალიან პრობლემატური იქნება, შეიძლება ითქვას შეუძლებელიც კი, ამიტომ ერთადერთი ალტერნატივა რჩება საქართველო.

**– ანუ გამოდის აფხაზური და ქართული მხარე მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დასხდნენ?**

– დიახ, ეს აუცილებელია და ეს უნდა იყო წმინდად ენერგეტიკოსების მოლაპარაკების საგანი, რადგან აფხაზებთან სრული გაგება და ურთიერთობა მხოლოდ ენერგეტიკის სფეროში გვაქვს. ჩვენ ამ საქმის სპეციალისტები ძალიან იოლად ვსაუბრობთ ერთმანეთთან, სწორედ ამიტომ უნდა იყოს ეს მოლაპარაკებაც ენერგეტიკოსებს შორის და თუ აფხაზურ მხარეს რამე პრობლემა ექმნება ჩვენ მათ უნდა დავეხმაროთ. აფხაზეთი ჩვენი ქვეყნის ისეთივე ნაწილია, როგორც იმერეთი და თუ იმერეთს აქვს ელექტრო-ენერგიის პრობლემა უარი უნდა ვუთხრათ დახმარებაზე?!

**– ამ თემის პოლიტიკურ ჭრილში გადაყვანა რამდენად სწორი იქნება?**

– ეს იქნება ძალიან ცუდი, თუ ჩვენ ამას პოლიტიკას მივაბამთ და სიტუაციას ხელოვნურად დავძაბავთ. ეს არ იქნება ნორმალური. ჩვენ, ენერგეტიკოსები პოლიტიკის გარეშეც ძალიან კარგად ვურთიერთობთ და ამ თემის პოლიტიზირება ამ ურთიერთობას აუცილებლად გააფუჭებს. ერთ მაგალითს გეტყვით – როცა ჩვენ აფხაზეთიდან წამოვედით და როცა აღარაფერი არ ფუნქციონირებდა, ერთადერთი რამ რაც მუშაობდა იყო საბერიოში მდგარი ენგურ-ჰესის სადგური, სადაც თანამშრომელთა 99% იყო ქართველი. ერთი წუთითაც არ გაჩერებულა ეს სადგური და აფხაზურ მხარეს არავითარი პრობლემა არ შეუქმნია მათთვის. დანაშაულია იმის თქმა – ჩვენი გამომუშავებული დენი რა უფლებით უნდა მივაწოდოთ აფხაზეთს. აუცილებლად უნდა მივაწოდოთ რადგან ეს ჩვენი ტერიტორიაა!

**– ენგურზე წყლის დეფიციტი, მთლიანი ქვეყნის ენერგოსისტემაზე თუ მოახდენს გავლენას?**

– ჩვენ ამ ყველაფრის დაბალანსების საშუალება გვაქვს, რადგან გარდაბანში აშენდა 340 მეგავატიანი თბოელექტრო სადგური, გარდა ამისა სრული დატვირთვის იმუშავებს სხვა სადგურებიც, იმუშავებს მესამე, მეოთხე ბლოკები და სხვ. ასე რომ ჩვენ გვაქვს საშუალება და რეზერვები რომ ეს დეფიციტი შევავსოთ, რასაკვირველია ეს ყველაფერი ენგურჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტრო-ენერგიაზე გაცილებით ძვირი იქნება, მაგრამ ჩვენი ვალია ეს დავარეგულიროთ.

**– ცნობილია, რომ თუ არ იქნება წყალუხვობა, მაშინ წყლის დონე 420 მეტრამდე შემცირდება, რის შემდეგაც, ინსტრუქციის მიხედვით, ტურბინის მუშაობა შეჩერდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰესი მუშაობას შეწყვეტს. თუ ყოფილა აქამდე მსგავსი პრეცედენტი?**

– წყლის ნაკლებობის გამო ტურბინები გაგვიჩერებია, რადგან თუ გარკვეულ სიმაღლეზე ქვემოთ მოხდა წყლის დამუშავება, იქნებ საშიშროება რომ ტურბინა ჰაერს ვერ აიღებს და ვერ მოხდეს ჰიდრავლიკური დარტყმა, ამიტომ ჩვენ ყოველთვის ვინარჩუნებთ მინიმალურ დონეს.

**ლადო გოგოლაძე**

## ათნჩრა – აფხაზური ენის გაკვეთილები ზუგდიდში

**მშაბზია** – უკვე მეოთხე წელია ამ სიტყვით ესალმებიან მოსწავლეები და მასწავლებელი ერთმანეთს აფხაზეთის პირველ საჯარო სკოლაში, რომელიც ზუგდიდში ოცი წელია ფუნქციონირებს. საკლასო ოთახში დაფაზე ქართულად წერია – **„ვისწავლოთ აფხაზური“**, იქვე ერთ კედელზე ნახატი ჰკიდია – ზღვა, მზე და პალმები.

სკოლამ არჩევით საგნებს შორის უპირატესობა აფხაზურ ენას მიანიჭა. ეს გადაწყვეტილება ბავშვების სურვილიც იყო. მეათე, მეთერთმეტე და მეთორმე კლასის მოსწავლეები კვირაში ორი დღე, თითო საათით აფხაზურ ენას ეუფლებიან. სკოლაში სულ 278 მოსწავლეა. უმრავლესობა დევნილი.

**„ცოტა უჭირთ, მაგრამ აინტერესებთ. მოტივაციაც მეტია. ინტერნეტით ესაუბრებიან თავიანთ თანატოლებს. ყველას ჰყავს იქ მეგობარი. ზაფხულობით გადადიან. უმეტესი ჩვენი ხალხი მაინც არის მოძრაობაში იქიდან აქეთ და პირიქით. საწყისი საფუძვლები აფხაზური ენის ამ ბავშვებისთვის მიცემული იქნება და მერე გააღრმავებენ“,** – უთხრა ჟურნალისტს სკოლის დირექტორმა, ლუიზა შონიამ.

იგი ამბობს, რომ ენასთან ერთად ასწავლიან აფხაზურ ტრადიციებს, ადათჩვევებს, ისტორიას თანაცხოვრებაზე. ცდილობენ ახალ თაობას სიყვარული ჩაუნერგონ ურთიერთობებზე, ერთიანი წარსულის მიმართ, რაც არ უნახავთ, მაგრამ სმენიათ.

**„ოდიშ-აფხაზეთს ერთი მამალი აღვიძებდა, არ არის ცუდი, რომ იცოდნენ ეს ენა და თავიანთ აფხაზ თანატოლებს საკუთარ ენაზე დაელაპარაკონ. ჩვენ მაინც ოპტიმისტები ვართ და ასეთი განწყობილება გვაქვს, რომ აუცილებლად დავბრუნდებით. ამ რწმენით გამოვდივართ“,** – თქვა სკოლის დირექტორმა.

აფხაზური ენის სწავლებისას პედაგოგი ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოტანილი პროგრამით ხელმძღვანელობს. აქვს თვალსაჩინოებები, ასოებს თავადაც ხატავს.

**„იქ უკვე პირველ კლასში რომ სწავლობენ აფხაზურს, ეს აქეთ გადმოვიტანეთ და ვსწავლობთ მეათე კლასში. დავაქსეროქსეთ ფურცლები. გვეხმარება დირექცია, განათლების სამინისტროს მხრიდანაც გვაქვს მხარდაჭერა. უკვე მეხუთე წელია ვატარებ გაკვეთილებს, თანდათან ვიხვეწებით. ერთი და იგივე თემაზე სხვადასხვა წელს განსხვავებული გამოდის გაკვეთილი“,** – გვითხრა მასწავლებლმა, რომელმაც ვიდეოჩაწერასა და ვინაობის გამხელაზე უარი თქვა, რადგან თბილისის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ხშირად გადადის.

ამბობს, რომ აფხაზური ენის მართლწერა საკმაოდ რთულია. არის ასოები, რომლებიც ისევე იწერება და გამოითქმის, როგორც რუსულში, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ერთ ასოზე ე.წ. ჯოხის ან კუდის დატანა უკვე სხვა ასოს აღნიშნავს. მაგალითად, რუსული **„კ”**-სგან შეგვიძლია მივიღოთ **„ყ“** და **„ქ“** ასოები.

აფხაზური რომ რთული ენაა, ამას მოსწავლეებიც არ უარყოფენ. ამბობენ, რომ თავდაპირველად ყველას გაუჭირდა მისი ათვისება, თუმცა ნელ-ნელა ყური და თვალი შეაჩვიეს. დღეს ბევრად უკეთ ესმით და საუბრობენ, რაშიც გაკვეთილის მიმდინარეობისას დაგვარწმუნეს.

აფხაზური ანბანი, რუკა და მასზე აფხაზური დიდი ასოებით წარწერა – **„Аҧсны Аҳәынҭқарра“**, რაც ქართულად იკითხება როგორც **„აფხაზეთის რესპუბლიკა“**. ასე გამოიყურება საკლასო ოთახი, სადაც დღესაც სჯერათ, რომ აფხაზების და ქართველების მშვიდობიან თანაცხოვრებას ალტერნატივა არ აქვს.

**„წიგნები არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს ქსეროქსები, რომლიდანაც ვსწავლობთ. უფრო მეტად ზეპირმეტყველებას ვუსვამთ ხაზს. მომავალი წლიდან წერასაც დავიწყებთ. ძალიან კარგია, რომ ამ ენას ვსწავლობთ. შეგვიძლია ჩვენს აფხაზ მეგობრებს მათ ენაზეც ვესაუბროთ, არა მხოლოდ რუსულად“,** – გვითხრა მეათე კლასის მოსწავლე ელენე მოლაშხიამ.

ამბობს, რომ რთულია, უჭირს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვს აფხაზური გვარის მოსწავლე – ნინო ეშბას. მისი მშობლები დღესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ზემო ბარღებში ცხოვრობენ და სახლკარს დაკარგვის შიშით ვერ ტოვებენ. თავად და-ძმასთან და დეიდასთან ერთად ზუგდიდშია. ენგურს გაღმა გადასვლას, როგორც გვითხრა, საბუთების არქონის გამო ვერ ახერხებს.

ეიმედება, რომ ოდესმე ბარიერები აღარ იარსებებს და მშვიდობაც დამყარდება. მშვიდობას აფხაზურად **ათნჩრა** ჰქვია.

**ნინო თოლორაია**

## საქართველოში აფხაზურენოვანი რადიო იმაუწყებლებს

საქართველოში რადიომაუწყებლობის ამოქმედება აფხაზურ ენაზეც იგეგმება. კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შესაბამისი ლიცენზია შპს **„მედია ჯგუფს“** მიანიჭა, რომელიც ქართულის პარარელურად აფხაზურ ენაზეც იმაუწყებლებს. საინფორმაციო ბადე ძირითადად შემეცნებით-გასართობი პროგრამებით დაიტვირთება და გურიის ნაწილის და სამეგრელოს გარდა, აფხაზეთის ტერიტორიასაც მოიცავს. **„მედიაჯგუფის“** დირექტორმა ირაკლი ბანძელაძემ **„ლაივპრესს“** განუცხადა, რომ მაუწყებლობა ურთას მთიდან განხორციელდება და აქვთ სურვილი, გალის რაიონს გაცდნენ. მისი თქმით, აფხაზურ საზოგადოებას შესაძლებლობა მიეცემა საკუთარ ენაზე გაეცნონ ქართული მხრიდან სიახლეებს სხვადასხვა სფეროს მიმართულებით.

**„მედია ჯგუფი“ მუშაობს ეთნიკურ უმცირესობებზე. ჩვენ ორი წელია გვაქვს აზერბაიჯანულენოვანი რადიო. სომხურენოვანი და აფხაზურენოვანი რადიო ერთვება ახლა. ვინაიდან პრობლემატურია აფხაზური ენის მცოდნეები, გვყავს ორი სპეციალისტი. მე როგორც ვიცი, საქართველოში, თბილისში არის სულ აფხაზური ენის ხუთი მცოდნე, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ გადათარგმნონ და წაიკითხონ საინფორმაციო. სამომავლოდ ვრთავთ ოსურენოვანს და ჩეჩნურენოვანს“,** – გვითხრა ირაკლი ბანძელაძემ.

ირაკლი ბანძელაძის თქმით, მაქსიმალურად შეეცდებიან, რადიოთი არ გაჟღერდეს პოლიტიკური განცხადებები და ახალი მაუწყებლობა არ იყოს ეთნიკურად აფხაზებისთვის გამაღიზიანებელი. იმუშავებენ იმ კუთხით, რომ აფხაზი მსმენელის გემოვნება დააკმაყოფილონ, მათ შორის მუსიკალური კუთხითაც. ეთერში გავა აფხაზური სიმღერებიც. ირაკლი ბანძელაძის განმარტებით, მაუწყებლობა 24 საათიანი იქნება. ეთერს ძირითადად მუსიკა შეავსებს, სავარაუდოდ ყოველ სამ საათში კი დრო ვრცელ საინფორმაციო გამოშვებას დაეთმობა.

**„თავდაპირველად იყო შპს „ნიუკონზე“ ლიცენზია, შემდეგ გადმოვიდა „მედია ჯგუფზე“. „მედია ჯგუფი“ მეორე წელია რაც დაარსებულია, თუმცა აზერბაიჯანულენოვანი რადიო უკვე მესამე წელია ეთერშია. გეცოდინებათ პირველი დამოუკიდებელი რადიო ძველი ქალაქი“, ასე ვთქვათ იქიდან მოვდივართ და ამ სფეროში საკმაოდ დიდი გამოცდილება გვაქვს“,** – აღნიშნა მან.

ირაკლი ბანძელაძის თქმით, ეცდებიან ტექნიკური საკითხები მოკლე პერიოდში მოაგვარონ და სავარაუდოდ თვის ბოლოსთვის პირველი საცდელი მაუწყებლობა განხორციელდეს.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ რადიომაუწყებლობის ლიცენზიების გასაცემად გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებულ ექვს კომპანიას ლიცენზიები დღეს მიანიჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მე ქართველი ვარ! საქართველო ჩემი სამშობლოა და აქ მე ვადგენ კანონებს!

**მაია-დარეჯან ჯიქია,**

## საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე

დიახ, ეს საქართველოა, რომლის ტერიტორია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იყო გადაჭიმული XII საუკუნეში. მიუხედავად დამპყრობლის მიერ მიტაცებული ტერიტორიებისა (ეს მიწები არაქართულად გამოცხადდა), მასზე დღემდე შემორჩენილია ქართული ტოპონიმები, ორინიმები, ჰიდრონიმები და, რაც მთავარია, ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები. ეს კი უდავოდ ხდის იმ საკითხს, რომ ქართველმა, უპირატესად ქართულმა სახელმწიფომ, უნდა აიღოს ხელში მიტაცებულ ტერიტორიათა ეროვნულ კანონმდებლობაზე დაქვემდებარების საკითხი. მიუხედავად დასავლეთის, კერძოდ, აშშ-ის პოლიტიკური მხარდაჭერისა. საქართველოს ტერიტორიად აღიარებულ ნაწილშიც კი არ ვრცელდება ჩვენი სახელმწიფოებრივი იურისდიქცია, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს დასავლეთის ყბადაღებულ მხარდაჭერას, მის რეალურობას და ამ **"მხარდაჭერის"** უფრო ნამდვილ სარჩულ-საპირეს ავლენს, სახელდობრ, მის შენიღბულ ექსპანსიას, ოღონდ, სხვა უფრო დახვეწილი პოლიტიკური ფორმით.

დღევანდელი პოლიტიკური სურათი საქართველოში იმაზე მეტყველებს, რომ აშკარაა ქვეყნის მართვის ბერკეტების უცხოთა ხელში გადასვლა. ისინი თავიანთი სახეების განხორციელებას გამუდმებული შანტაჟით ახდენენ და, ქვეყანას მუდმივად რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის შიშით ატერორებენ.

საქართველო თავისი ტერიტორიებით (წართმეულით და არაწართმეულით) ქართველი ერის საკუთრებაა, ერისა, რომელსაც თავის ჭერქვეშ უამრავი სხვა ერის წარმომადგენელი შეუფარებია, დაუსახლებია და არასდროს დაუჩაგრავს ისინი თავისი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ. ეროვნული სამართლიანობის გზაზე აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ყველა სხვა ერის წარმომადგენლისთვის, ვინც დღეს საქართველოს ტერიტორიაზე სახლობს, საქართველო თანასამშობლოა, რაც ნიშნავს იმას, რომ სხვა ერის წარმომადგენლისთვის საქართველო მეორე სამშობლოა, იმ პირველი სამშობლოს მერე, რომლის წიაღშიც დაბადა ისინი ღმერთმა.

ზოგიერთი ერის წარმომადგენელი დროთა განმავლობაში იცვლის ეროვნულობას. გვარშეცვლილს ქართველად მოაქვს თავი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს გვარგადაკეთებული და საბუთებით ქართველად მონათლული სხვა ერის წარმომადგენელი ბიოლოგიურად, მით უფრო, მენტალიტეტითაა ქართველი. ის ცნობიერად ისევე იმ ერის წარმომადგენლად რჩება, რომლის წიაღშიც თავდაპირველად ჩაისახა და იშვა. სომეხი, რომელმაც გვარი ქართულად გადაიკეთა და ეროვნებაც კი ქართველი დაიწერა პასპორტში იგივე სომეხია და გარეგნული საბუთიერი ცვალებადობა არ ცვლის მის ეროვნებას, არც ეროვნულ თვისებებს. ასეთ გვარშეცვლილ ქართველს ჰქვია ეთნიკური ქართველი, რაც უფლებამოსილს ხდის ამ პიროვნებას იცხოვროს და იამაყოს იმ სამშობლოთი, რომელშიც აირჩია ცხოვრება და, უპირველესად, დაემორჩილოს იმ ეროვნულ კანონებს, რომელსაც მას სთავაზობს ის ერი, რომლის ტერიტორიაც აირჩია საცხოვრებლად და თავს არ მოახვიოს თავისი, თვითნებურად შემოტანილი კანონები, რაც სრულ არეულდარეულობას გამოიწვევს ერის ყოველდღიურ არსებობაში, საბოლოოდ, კონფლიქტამდე მიიყვანს საკუთარ თავსაც და გარშემო მცხოვრებ ადამიანებსაც. უამრავი ასეთი ყურით მოთრეული კონფლიქტის მოწმენი ვართ დღეის საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზების, ოსების). საქართველომ კი, ამ პრობლემის გადაწყვეტის ვერც გზა გამონახა და ვერც პასუხი. უფრო მეტიც, თავისი ეროვნულ-პოლიტიკური უნიათობით გარეშე ძალებს მიანდო ამ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა. გარეშეებმა, არც მეტი, არც ნაკლები, ყოველივე ეს უმთავრეს ბერკეტად იქციეს გრანდიოზულ პოლიტიკურ თამაშში. როგორც ყველა თამაშში, მოთამაშე აქაც საკუთარ მოგებაზე ფიქრობს და ფეხზე ჰკიდია ეროვნული ღირსებაც და ქვეყნის სახელმწიფოებრივი საკითხიც.

სიტუაციის ამ ფონზე საქართველო უნდა დაეყრდნოს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული ერის უფლებების იდეას და თავის ტერიტორიაზე დაიცვას და განამტკიცოს ეროვნული კანონმდებლობანი და გაუთანასწოროს იგი სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას. ე. ი. ერი და სახელმწიფო უნდა იქცეს ერთ ორგანოდ, რომელიც ჩადგება საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის სამსახურში. საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ერის შვილი უნდა იყოს, როგორც დაცული, ასევე დაქვემდებარებული ქართულ ეროვნულ კანონმდებლობას და არა ამერიკულ ფსევდო კანონთა ნუსხას, რომელიც ამერიკულგანგსტერული კლანების გაბატონებას უფრო ემსახურება რეგიონში, ვიდრე საქართველოს განვითარებას და გამთლიანებას.

გადავხედოთ, რა მოგვცა ჩვენ ქართველი ერის და სრულიად საქართველოს ოცდახუთწლიანმა ყალბმა თავისუფლებამ და ამერიკის და ევროპის არასრულფასოვან კანონმდებელთა თავშესაფარში შეყუჟვამ.

1. ქართველი ერის უარყოფა, როგორც სრულუფლებიანი, ქვეყნის წარმმართველი ერის წარმომადგენლისა საქართველოში; ქართველი ერის დაშლა-დაქუცმაცების მცდელობა და, უფრო მეტიც, მისი ფიზიკური მოსპობის მცდელობა;

2. ზნეობის მოსპობის მცდელობა უზნეობის წაქეზებით;

3. რწმენის (მართლმადიდებლური) უტყუარობის საკითხების საფრთხის ქვეშ დაყენება ქვეყანაში; რწმენის წართმევის მცდელობა ქართველი ერისათვის;

4. სულიერი ეროვნული კულტურის იგნორირება, ეროვნულ ფასეულობათა დევალვირება და მის ადგილას უცხო, არაქართული, არაეროვნული ფსევდო-სულიერების ქადაგება და სუროგატულ ღირებულებათა **"შემოტენვა";**

5. ეკონომიკური დეგრადირება, ეროვნული ეკონომიკის ჩამოუყალიბებლობა, ეროვნული სავაჭრო სისტემის არქონა, ეკონომიკის მიზანმიმართული დაშლა ქვეყნის საზიანოდ და უცხოტომელთა სასარგებლოდ;

6. სოფლის მეურნეობის არაეროვნულ, არაქართულ ყაიდაზე გადაყვანის მცდელობა; კოსმოპოლიტიზმის დროშით საერთაშორისო ფსევდო-კანონმდებლობის შემოჩეჩება მიწის საკუთრების საკითხში და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილი მუხლებიდან ჩანს, რომ ქვეყანამ ვერანაირი სარგებელი ვერ მიიღო ოცდახუთი წლის განმავლობაში.

მოდით, განვიხილოთ თითოეული ზემოჩამოთვლილი მუხლი ცალ-ცალკე, დავასაბუთოთ, რის საფუძველზე ვამბობთ ყოველივეს და ამ დასაბუთებით მოვნახოთ გამოსავალი ქართულ ეროვნული სახელმწიფოს დამკვიდრებისა თანამედროვე მსოფლიო სივრცეში.

**1. ქართველი ერის უარყოფა, როგორც სრულუფლებიანი ხელისუფალისა საქართველოს განვითარებისთვის. ქართველი ერის დაშლა-დაქუცმაცების მცდელობა და მისი ფიზიკური განადგურების მცდელობა.** უპირველესად, უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხი უკიდურესად მწვავე კრიზისს განიცდის. გამუდმებული შანტაჟი სახელმწიფო სტრუქტურებში ცალკეულ პიროვნებებსა და ორგანიზაციებს შორის ქმნის აბსურდულ აურზაურს, რითაც ყურადღება გადატანილია არა ქვეყნის აღმშენებლობის საკითხისკენ, არამედ თვითგადარჩენის საკითხისკენ. ამ შანტაჟს ამძაფრებს პრესა-ტელევიზიაში საკითხების იმ ფორმით გაშუქება, რომ უბრალო მოქალაქეს მთავრობა წარმოუდგება არა მისთვის მზრუნველ ორგანიზმად, არამედ მუქთამჭამელთა ხროვად., სამწუხაროდ, ეს ასეცაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პიროვნებანი, რომელნიც პირველ პირებად ევლინებიან ქვეყანას, უღირსი, მდაბალი თვისებებით არიან აღჭურვილნი. თუ გამოჩნდა ვინმე ღირსეული, შანტაჟის, ათასგვარი მაქინაციის გზით გზიდან იცილებენ, უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციის წინ წამოწევით, რომელთაც აფინანსებს ამერიკის შეერთებული სტატების განგსტერულ-კლანური ჯგუფები და ეს განგსტერული ჯგუფების გაერთიანებები ზოგან რელიგიური ფორმით ზოგან ბიზნესის ფორმას შეფარებულნი, ზოგან ხელოვნების დაჯგუფების სახით, პირდაპირ რომ ვთქვათ, შესეულნი არიან ქართულ სასიცოცხლო სივრცეს და მას ტყუილმართლის წუმპეში აშთობენ. ამის შემდეგ თავიანთ დამფინანსებულ ამერიკასთან მიაქვთ შედეგი საქმიანობისა – **"უაზრობა".** ასე, რომ აშშ-ის პოლიტიკური და ფინანსური წრეები საქართველოში თავიანთი იდეის ხორცშესასხმელად ქმნიან მე-5 კოლონას, რომელთა წარმომადგენლებს მხარს უჭერენ ფინანსებით. უზრუნველყოფენ ადგილებით სხვადასხვა სტრუქტურებში (გარკვეული დავალებით!) და მათგან მიღებული ინფორმაციების წყალობით ღებულობენ გადაწყვეტილებებს, რაც სრულიად შეუსაბამოა საქმის არსისადმი და ბუნებრივია, ყველაფერი თავდაყირა დგება, როგორც მაღალ ასევე დაბალ ინსტანციებში. შესაძლებელია სწორედ ამისთვის ინიშნებოდნენ არაადეკვატური კადრები პირველ პირებად, რათა თავად ამერიკამ მიიღოს თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები ქვეყნის საზიანოდ.

ქვეყანა გრანდიოზულ აბსურდულ თეატრს დაემსგავსა, მესიის მოლოდინი კი გოდოს მოლოდინად გვექცა! სახელმწიფო სტრუქტურებში (თავდაცვის, უშიშროების) მუშაობენ ჯგუფები, რომლებიც შესეულნი არიან მოსახლეობას, განსაკუთრებით მართლმადიდებელ ოჯახებს, რომ რაიმე მავნებლობა შეამთხვიონ, გაასაჯაროონ და ქვეყნის სათრევად აქციონ, რათა ამ კონკრეტული მაგალითით ადამიანებში დათესონ შიში, უნდობლობა, უპატივცემულობა, ურწმუნობა, გაავრცელონ საკუთარი არასრულყოფილების სინდრომი. ამ ფორმით ამერიკას დასახული აქვს ქართველი ერის დაშლა-დაქუცმაცება, რასაც ამაგრებს იმ საერთაშორისო სავიზო მიმოსვლის შემოღებით ევროპაში, რომელზეც გამუდმებით ქადაგებენ პრესასა და ტელევიზიაში. იმავე თავდაცვის და უშიშროების სტრუქტურების ხელშეწყობით ხდება ქვეყანაში განგსტერული მკვლელობები, რომელიც შემდგომ გამოუძიებელი რჩება. რაკი გამოსაძიებელი არაფერია, მოსამართლენიც და პროკურორებიც წინასწარ დაუწყებულნი ჰყავთ მოსახდენზე. უბრალოდ, მცირე ალიაქოთს ატეხენ მომხდარ მკვლელობაზე, რომ თვითონ გამართლებულები ჩანდნენ ხალხის თვალში, მერე კი ჩვეულებრივ გააგრძელებენ ამერიკასთან სახელფასო თანამშრომლობას და ასე, ახალ მკვლელობამდე.

ასე, რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურას მართავს არა ის ადამიანები, რომელსაც ჩვენ ვუყურებთ როგორც პრემიერს, პრეზიდენტს, მინისტრს და ა. შ. არამედ ამერიკის განგსტერული დაჯგუფება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო საქართველოს აღმშენებლობის საკითხებთან. მთავრობაში წარმოდგენილი სახეები, უბრალოდ, ინერციით ემორჩილებიან სიტუაციას და თვითგადარჩენის გზას უფრო ადგანან, ვიდრე ქვეყნის გადარჩენის გზას.

**2. ზნეობის მოსპობის მცდელობა უზნეობის წაქეზებით.** ყველა და ყველაფერი უნდა ემორჩილებოდეს ღმერთს, მის მცნებებს და კანონებს. ბიბლიაში არსადაა საუბარი იმაზე, რომ ქალის და კაცის გარდა, კიდევ მესამე სქესი არსებობდეს. ამ ბოლო დროს საჯაროდ, სახელმწიფო ორგანოები თავს ახვევენ მოსახლეობას ლგბტ-თემას. სკოლებსა და საჯარო დაწესებულებებში ლგბტ-თემა გამუდმებულად მუსირებს. საქართველოში ზნეობა საფრთხის ქვეშ დადგა. ეს თავისთავად ნიშანია იმისა, რომ ამერიკის მთავრობა სულაც არ არის მეგობრულად განწყობილი საქართველოს მიმართ. მას თავისი ინტერესები აქვს საქართველოში და ეს ინტერესი ქართველი ერის განვითარება კი არა, ერების და ეროვნებების აღრევის გზით, მისთვის მისაღები სახელმწიფოებრივად და ეროვნულად უსარგებლო ადამიანთა მასის მიღებაა.

**3. რწმენის (მართლმადიდებლური) უტყუარობის საკითხების საფრთხის ქვეშ დაყენება. უფრო მეტიც – რწმენის უფლებების წართმევის მცდელობა ქართველი ერისთვის.** დღევანდელი მსოფლიოს საერთაშორისო სამართალს თავის ნამდვილ საგნად სახელმწიფო ჰყავს მიჩნეული და არა ერი. ეს რომ ასეა, საქართველოს მაგალითებიდანაც ვხედავთ. რაკი ამერიკა ისე ნიშნავს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში იმ ადამიანებს, რომელთაც დავალებული აქვთ არა თუ გაუფრთხილდნენ წინაპართაგან მიღებულ რწმენას და ფასეულობებს, არამედ, რაც შეიძლება შეავიწროვონ და გააუფასურონ ისინი. უფრო მეტიც, თუ შესძლებენ ათასგვარი მაქინაციებით, ათასგვარი ხრიკებით, სახელმწიფო დევნის მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. მოსყიდულია მღვდელთა და მართლმადიდებელ აღმსარებელთა ნაწილი. ცნობილია ეს მათთვის თუ არა, ამის მტკციებას აქ ვერ დავიწყებთ. ჩვენ მოწმენი ვართ იმ საკითხებისა, რომ თვით მართლმადიდებელი პატრიარქი განიცდის დევნა-შევიწროებას ე. წ. არასამთავრობო დაჯგუფებებისგან, რომელთაც ამერიკა აფინანსებს. მოქალაქეთა ცხოვრებაში კი, თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ თუ რომელიმე სექტას არ მიეკუთვნები, სამსახურს ვერ მიიღებ, ვერც სოციალურ დახმარებას. ამას წვრილ-წვრილ ხულიგანთა დევნა რომ დაემატება, იძულების წესით უნდა გადახვიდე იმ ტერიტორიაზე, რომელზეც თავის გატანას შეძლებ. ამ ყველაფრის ფონზე უამრავი სექტანტური ბროშურების ფრიალი და ფულადი თუ სხვა სახის დახმარება ტრიალებს გარშემო მათ თვის, ვინც ამა თუ იმ სექტას ემხრობა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიდის.

**4. სულიერ-ეროვნული კულტურის განადგურების გზაზე დაყენება, არაქართული, არაეროვნული დოგმატების პროპაგანდით (პრესა-ტელევიზიაში, ლიტერატურაში, ხელოვნების სხვა დარგებში).** კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო სამართალს დღეს, დედამიწის ზოგ რეგიონში საერთაშორისო სამართლის საგნად აღიარებული აქვს სახელმწიფო, ზოგან კი ერი; ზოგან კი ისე აქვს ერთმანეთში არეული ეს ორი ცნება – სახელმწიფო და ერი, რომ თვითონ ვერ გარკვეულა სამართლიანობა-უსამართლობის წესების დადგენაში. ასეა დღევანდელ საქართველოში. სადაც ჩვენ სახელმწიფო სტრუქტურები ქვეყნის წარმართველად გვევლინებიან.

სულიერი კულტურის ისეთ სფეროში, როგორიცაა ლიტერატურა, თეატრი, კინო, მხატვრობა, მუსიკა – ყველაფერს ამერიკული სტილის დოგმად მიღებულ ფორმას აძლევენ. ამ პრობლემის წარმოსაჩენად ავიღოთ ბიბლუსის საქმიანობა. ეს გამომცემლობა წიგნებს კარგი დიზაინით დიდი რაოდენობით გამოსცემს ქართულ ენაზე, მაგრამ... არაქართულს! ქართულ ავტორებს თითო-ოროლას თუ გამოსცემს და ისიც მხოლოდ დაბალი ან საშუალო ავტორებისას. სანაცვლოდ ჭარბი რაოდენობით გამოსცემს უცხოურ მწერლებს. ამაში კი ამერიკისგან იღებს დაფინანსებას. გარდა ბიბლუსისა, სხვა გამომცემლობებს არ აფინანსებს და ამით ხელფეხს უბორკავს მათ. კონკურენციის გზით ბაზრიდანაც დევნის ეროვნული იდეის ნაწარმოებებს. ასე, რომ ამ სფეროში არაფერი ემსახურება ქვეყნის წინსვლას, რაც, თავისთავად, ადრე თუ გვიან, მოიტანს როგორც ქართული ეროვნული მწერლობის, ასევე ქართული ენის დაკნინებასა და განადგურებას.

ასეთივე მდგომარეობაა თეატრისა და კინოს სფეროში, სადაც არაფერი არ შეესაბამება ქართული ეროვნული სულის აღორძინებას. არც ერთი კინოსცენარი არ მიუღია კინოსტუდიას წარმოებაში, რომელშიც კი გაიელვა ერის მენთოსის წამოწევამ, ერის ისტორიის აწმყოში გაცოცხლებამ.

კულტურის სამინისტროს პარალელურად მოქმედი ორგანიზაციები, ზოგი არასამთავრობოების, ზოგი პროფესიული კავშირების სახით, ამერიკის დაფინანსებით ზღვარ-გადასულ ქმედებებს ჩადიან ქართული კულტურის გასანადგურებლად და ქვეყანაში ქართული სიტყვით ამერიკულის დასადგენად. ვარსკვლავების გახსნა თავისთავად ცუდი არაა, მაგრამ ქვეყნისთვის ამ სფეროში სხვა საკითხის დაყენება უფრო მნიშვნელოვანია (მაგალითად, ახალგაზრდა თაობის აღზრდა, პროფესიონალი, ნიჭიერი კადრის წახალისება და არა გაგდება სტრუქტურიდან და ა. შ.). სამწუხაროდ, ამ კუთხით მუშაობა არ მიმდინარეობს. არაპროფესიონალ კადრს ამერიკა აფინანსებს და თავისას მიერეკება, რაც ნიშნავს იმას, რომ ეროვნული თავისუფლება ამ სფეროში ნულის ტოლია და ამერიკის დამპყრობლურ გეგმას ემსახურება.

*(გაგრძელება მე-6 გვერდზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სვატოპლუკ ჩეხი — მოგზაურობა კავკასიაში

## სვატოპლუკ ჩეხი

*ქუთაისი-სვანეთი-მოწამეთა-გორი-უფლისციხე-თბილისი-კოჯორი-თეთრიწყარო-მანგლისი-არაგვისპირეთი-ვლადიკავკაზი*

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

სასწრაფოდ მოვიმარჯვე დღიური და ჩავიწერე ყველაზე უბრალო სიტყვები, რამდენადაც გასაგები და ხელმისაწვდომიც იყო რუსული ენის წყალობით. ჩემი მოქმედებით თანდათან დაინტერესდნენ ოსები. მამაკაცი და ჭაბუკი ერთიმეორეს არ აცლიდნენ პასუხს. ზოგჯერ ერთმანეთს უსწორებდნენ და თათბირობდნენ კიდეც. იმ ორი ბიჭუნას რუსულის ცოდნა ორად ორი სიტყვით – „ზდრავსტვუი“ და „ხარაშო“-თი შემოიფარგლებოდა. ისინი უფროსების მიბაძვით სიტყვებს რამდენჯერმე იმეორებდნენ და თანაც გულიანად იცინოდნენ. როცა ვწერდი მამაკაცი წელში მოიხრებოდა და ძალზედ ყურადღებით აკვირდებოდა ჩემი ფანქრის მოძრაობას.

ვგონებ არ გამიწყრებით, თუკი ჩემი მეხსიერების წყალობით აღვიდგენ და აქვე მოვიყვან რამდენიმე ოსურ სიტყვას, თუმც, ვერ დავიჩემებ სიზუსტეს. არ გაგიკვირდეთ, იმ რთულ ვითარებაში ძლივს ვაგებინებდით ერთმანეთს, ამას დაუმატეთ ოსური ენის განსაკუთრებული ხასიათი (ზოგიერთ თანხმოვანს ჩვენ ვერც კი წარმოვთქვამთ) და თქვენთვის ცხადი გახდება, რომ ადვილია უზუსტობის დაშვება. მიუხედავად ამისა, ის სიტყვები მაინც მიგახვედრებთ ამ იდუმალი ენის თავისებურებებს. რამდენიმე სიტყვის მოხსენიება გასაკვირვად არ მიიჩნიოთ და არა სთქვათ, რომ მათი წარმოთქმა შეუძლებელი იყოს საერთოდ. მერწმუნეთ, რომ ოსები მას ძალზედ უბრალოდ და მუსიკალურადაც კი გადმოსცემენ. პური – ზუიად ითქმის, წყალი დონ (შეადარეთ მდინარის სახელს), ცა – არვ, მიწა – ჟახ, მთა – ობაჟ, ტყე – კად, ხე – შუ, ქვა – დურ, ცეცხლი – ჟინკ, თავი – შარ, თმები – შაროკონ, ცხვირი – ფნც, თვალები – ცაშტ, შუბლი – ნხ, პირი – ცხ, გოგონა – ჩიჟგა, სინათლე – დმგე, სიბნელე – მირხ, თოვლი – მიტ, წვიმა – ჟარხ, თევზი – კაშაკ, ხარი – გალ, ცხორი – ფშ, მამალი – შიშტ, ქათამი – კაკ (შესანიშნავი ონომატოპეაა), იხვი – ბაბიშ, ბალღი – კუც, ცხენი – ბახ, სკამი – ბანდე, სარკე – აიდემ, სანთელი – ურახ, ჯამი – ავჟინტრახაბერ, დანა – კარტ, კარგი – ხორშ, ცუდი – ავჟერ, ძლიერი – ფიდარ, სუსტი – ლამარ, დიდი – შტრ, მცირე – ჩსლ. ამ სიტყვების განსაზღვრით **„ინდოგერმანულს“** ვერას ჰპოვებთ, მაგრამ აბა ახლა დააკვირდით: დედა – მატ, მოხუცი ქალი – ერენტ, კბილი – დენდაკი, ის – დი, მე – მა, არა – მა, ორი – დუე, სამი – პტე, ექვსი – ახშან ან შაშ, რვა – აშტ, ათი – დეშ, აზნაური – ალდარ, მაგრამ გაბედული ჰიპოტებისათვის – ოსთა გერმანული წარმოშობის შესახებ ეს სიტყვებიც კი როდია დასასაბუთებლად საკმაო და მე აქვე ხაზს ვუსვამ, რომ თანამედროვე ფილოლოგები ოსურ ენას ირანულ ჯგუფს მიაკუთვნებენ. ღმერთი ოსურად – ტსაურს ნიშნავს, თვით ოსები ეძახიან – ირ ან ირონ, რუსებს კი – ურშაკ.

მოდით, აქ მოვათავოთ ოსური ენის კვლევა-ძიება, ვხედავ უკვე ამთქნარებთ კიდეც. ოსებსაც მობეზრდათ მასწავლებლის როლი. მამაკაცი ურემს ათვალიერებდა, ყმაწვილი თავის „ნამატ ხუტს“ აწვალებდა, ბიჭუნებმა ყურადღება ვლადიკავკაზელი ახალგაზრდების გუნდზე გადაიტანეს. ეს ხალხი ჩვენს ირგვლივ შეუმჩნევლად შექუჩებულიყო.

მე არ ვაპირებდი ასე მალე და ასე იოლად გამოვთხოვებოდი ჩემს ახალ ნაცნობებს.

– მომისმინე, – ვუთხარი ოსს, – ტრაქტირში წამომყევი. იქ მასწავლე კიდევ რამდენიმე ოსური სიტყვა. ყოველი სიტყვისათვის კაპიკს მიიღებ გასამრჯელოდ.

მან გაკვირვებულმა შემომხედა, ხმა გაკმინდა და იჭვიანი თვალით მიმზერდა.

– მოდიხარ თუ არა? თან ერთი კალათა მარწყვიც წამოიმძღვანიე, – დავსძინე მაშინვე.

აშკარად ყოყმანობდა, ხან მიწას დასცქეროდა, ხან კი გამომცდელის თვალით თავით ფეხებამდე მათვალიერებდა. ბოლოს წამოდგა, გოდორს ხელი დაავლო, დედაბერს რაღაც დაუბარა და ჩემთან ერთად ტრაქტირისკენ გამოეშურა.

ბასერინი, მხიარული გერმანელი, ვისგანაც ვიქირავე გვარიანი ოთახი, ძალიან გააოცა ჩემმა თანხლებმა. მაგრამ როცა საქმის ვითარება ავუხსენი, დაშოშმინდა. გაცილებით მეტი დავიდარაბა გადამხდა, სანამ მის ქართველ ოფიციანტს რასმე შევასმენდი. ხან მე მომჩერებოდა და ხან ჩემს თანამეინახეს. რამდენჯერმე მომიხდა გამეორება, ჩვენთვის ორი კათხა ლუდი მოერთმია. ბოლოს, ღმერთმა უშველოს, როგორც იქნა გონს მოვიდა და საჭიროდ ჩათვალა ჩემი თხოვნის შესრულება.

როცა ოსს ლუდი შევთავაზე, მან თავი გააქნია – **„არ ვსვამ“,** – ხმადაბლა ჩაილაპარაკა მან.

– ნუ მორცხვობ, შესვი! – დავაძალე მე, – ერთი ჭიქა მოგიხდება კიდეც.

– მე მაჰმადიანი გახლავარ, – ჩამჩურჩულა თვითდაჯერებული იერით. სულ გადამავიწყდა, რომ ისლამის ცეცხლოვანმა მახვილმა ოსი ხალხის ნაწილიც დაიპყრო, თუმცა უმრავლესობა ქრისტეს რჯულის აღმსარებელია. ამ სარწმუნოებაზე ისინი ჯერ კიდევ XII საუკუნეში მოაქცია ქართველთა მეფემ ვახტანგმა. უმნიშვნელო ნაწილი ოსებისა დღემდე წარმართია.

მე არ მინდოდა ბოლომდე გამომეცადა მგრძნობელობა ოსური სინდისისა, მაგრამ მზაკვარმა ბასერინმა თავს იდვა მაცდუნებელის როლი. მან აჩვენა ტკბილი ბურდოთი სავსე ჭიქა, რომელსაც მთელს კავკასიაში ლუდს ეძახიან და დამაჯერებლად თქვა:

– ეს არც ღვინო და არც ლუდი გეგონოს, ამას საგანგებოდ ვაყენებთ მაჰმადიანებისათვის.

საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მართლაცდა ვლადიკავკაზში ჰყიდიან ლუდის საოცარ სახეობას, რასაც **„ოსურ ლუდს“** უწოდებენ. ყურანის მოწყალებითი თუ შემწყნარებლობითი ახსნა-განმარტება საკმარისი გახდა ეს სითხე ჯანმრთელი მაჰმადიანის კუჭში მოქცეულიყო.

– განა ეს ლუდია? – ახლა მე მომმართა ბასერინმა.

– რასაკვირველია არა, – ვუპასუხე დაბეჯითებით.

ოსმა ხელი გაიწოდა და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

როცა ოსი ოთახში გავიყვანე, შესვლისთანავე მისი ყურადღება მიიპყრო ექვსვაზნიანმა რევოლვერმა, რომელიც მაგიდაზე იდო. თვალები აუცისკროვნდა, ხელი წასცდა იარაღისკენ. იგი ბავშვივით იქცეოდა, თითქოს საყვარელი სათამაშო დაინახაო.

– ამ ნივთს როგორ ეძახით თქვენებურად? – ღიმილით შევეხმიანე მას იმ გაგებით, რომ დასავლეთის მოგზაურობის ეს ავგაროზი დღემდი ცხრაკლიტულში ხომ არაა დამალული ოსებისათვის-მეთქი.

– მაშ გარახუ დამბაცა, – მომიგო სტუმარმა და ამაყად გადმომხედა, თითქოს ამოიცნო ჩემი ფიქრი.

**„დამბაცა“** – სასროლ იარაღს ნიშნავს, ხოლო **„მაშ გარახუ“** – ექვსჯერ ისვრისო.

– თქვენ თუ ამზადებთ ასეთ იარაღებს? – შევეკითხე გაკვირვებულმა.

ოსმა არა მითხრა რა, გატაცებული ატრიალებდა მომაკვდინებელ იარაღს და ჩახმახს აქეთ-იქით ამოძრავებდა, ხანდახან კი სასროლად მოიღერებდა, ჭერს უმიზნებდა.

ასეთი ამაღელვებელი თამაშის შესაწყვეტად გადავწყვიტე უბიდან დღიური ამომეღო და დავიწყე ოსური სიტყვების ლექსიკონის გამდიდრება. ჩემი სტუმარი კეთილსინდისიერად იძლეოდა პასუხს. თუ მისთვის გაუგებარი იყო ჩემი შეკითხვა ან პასუხის გაცემა გაუჭირდებოდა, შუბლს შეიჭმუხნიდა, რაღაც განსაკუთრებული ხმით ჩაახველებდა და მოძრაობით ან გამოხედვით მაგრძნობინებდა სინანულს. თუ რომელიმე სიტყვას განმეორებით ვეკითხებოდი, დღიურისკენ ხელს იშვერდა და ამბობდა: **„უკვე ჩაიწერე“.**

მალე უგულისყურობა შევამჩნიე, თვალი კარისაკენ გაურბოდა, უცებ წამოდგა და შემაწყვეტინა:

– ახლა კი საკმარისია, ურემს უნდა მივხედო, თუ გინდა კვლავ დავბრუნდები მოგვიანებით.

– მობრძანდი, ძალზე გამახარებ. სანამ წახვიდოდე, ესეც მითხარი, საიდან ხარ და სახელი რა გქვია?

– ზარაჰმედ ტხოშტი მქვია, – დინჯად მიპასუხა ოსმა, – ჩვენი აული იმ მხარესაა, საიდანაც მზე ამოდის და მემლანაუს ეძახიან. შენი სახელი რაღაა? საიდან ჩამოხველ?

მეც დიპლომატიურად ავუხსენი, საიდან სად მოვსულვარ, რათა ოსების ასავალდასავალი შემეტყო. რამდენჯერმე თავი დამიკანტურა და მოწიწებით შემომხედა.

სიტყვები გადავთვალე და დაპირებული გასამრჯელო მივეცი. ჯერ შეყოყმანდა, მერე მადლიერებით შემომხედა და აიღო. გამოთხოვებისას კუნთმაგარი ხელი გამომიწოდა. მეგობრულად გამოვეთხოვე და სასტუმროს ჭიშკრამდე ჩავაცილე კიდეც.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, დერეფანში ფეხის ბაკუნი და უცნაური ხითხითი გაისმა. კარები ოდნავ გაიღო და გამოჩნდა ქართველი ოფიციანტის მზედაკრული სახე.

– ისევ მოგაკითხეს, – მითხრა სიცილით.

მაშინვე მივხვდი, მეშლანაუელი ოსები იქნებოდნენ.

– შემოვიდნენ, ახლავე შემოიყვანე, – შევეხმიანე ქართველს.

რამდენიმე წამიც და კარებში ზარაჰმედ ტხოშტი გამოჩნდა, ხელში მარწყვით ავსილი გოდორი ეჭირა, უკან მოსდევდა ტლანქი აღნაგობის მამაკაცი. მის დანახვაზე გამახსენდა, ძველი ჰუნების ფანტასტიკური სახეები.

– ეგ ვინღაა? – უნებურად შევეკითხე ზარაჰმედს.

– ჩემი ძმაა, – მიპასუხა მან.

ოსმა გულნატკენმა შემომხედა.

– გაცნობა უნდა, – მითხრა წყნარად.

იგი განზე გადგა და გამოჩნდა წარმოუდგენელი აღნაგობის მამაკაცი. მომიახლოვდა, კრძალვითა და ნდობით გამომიწოდა ფართე ხელისგული. ამგვარი აქამდე არაფერი მენახა. ეს სრულიად განსაკუთრებული სახისა და აღნაგობის კაცი იყო. მას გოლიათს ვუწოდებდი. წელში გამოყვანილი იყო. სახე, მკერდი, მხრები საოცრად მოსული და ფართე ჰქონდა. ემჩნეოდა, არაადამიანური, ველური ძალის პატრონი უნდა ყოფილიყო. ჭორფლიანი სახე ღრმა ნაოჭებს დაეფარა. ნაკვთები მკვეთრი, თითქმის გროტესკული ჰქონდა. ქვედა ყბაზე წვერი ჯაგარივით მოსდებოდა. ასეთი გარეგნობის მიუხედავად, გულკეთილი და თავმდაბალი უნდა ყოფილიყო. როცა ახალმოსულს მივესალმე, ზარაჰმედმა მარწყვით სავსე გოდორი ჩემს მაგიდაზე ჩამოდგა.

– დღეს აღარ მინდა მარწყვი, – ვუთხარი მე, – ნახე გუშინდელიც ხელუხლებელია.

– ფული არ გვინდა, – ერთხმად წამოიძახა ორთავე ტხოშტმა, – საჩუქრად მოგვირთმევია.

ორთავეს სკამები მივაწოდე, ზარაჰმედის ძმა მუხლებზე ხელდაწყობილი იჯდა და მეგობრულად შემომყურებდა. მის სახეს საზეიმო ელფერი დასდებოდა.

– ჩემმა ძმამ ყველაფერი მიამბო, – მითხრა მან და მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა, ხმა მღელვარებისაგან უთრთოდა.

ეტყობა ზარაჰმედი ძმას ეთაყვანებოდა.

– რაც გინდა ჰკითხე, – მომმართა მან, – მაგან ჩემზე მეტი იცის.

როცა გოლიათი პასუხს იძლეოდა, ზარაჰმედი ძმას აღფრთოვანებით შეჰყურებდა, მერე მზერას ჩემსკენ გადმოიტანდა, თითქოს მეკითხებოდა, როგორ მოგწონს მისი პასუხებიო.

გავიმეორე ყველაფერი, რაც ზარაჰმედმა დღიურში შემატანინა, რათა დავრწმუნებულიყავი მათ სისწორეში. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის ხაზგასმა, რომ ოსები ლურჯსა და მწვანეს რატომღაც აიგივებენ, ერთსაც და მეორესაც **„ცახს“** უწოდებენ. როცა ზარაჰმედმა მითხრა, არ დავუჯერე. ახლა კი მისმა ძმამ კვერი დაუკრა.

ბოლოს რევოლვერიც ვაჩვენე. მინდოდა გამეგო, საიდან იცნობენ ოსები ამ იარაღს, და იქნებ თვითონაც ხმარობენ-მეთქი.

– თქვენს ენაზე რას ეძახიან ამას? – შევეკითხე ძმას.

ოსმა დახედა იარაღს, რომელმაც რასაკვირველია, ძალზედ დააინტერესა.

– არაფერიც არა ჰქვია, – დინჯად მომიგო მან, – ჩვენ ასეთ რამეს არც კი ვიცნობთ.

– რაო? – შევძახე მე – აკი შენმა ძმამ მითხრა, ეგეთები გვაქვსო, სახელიც კი მასწავლა.

გოლიათმა ძმას წყენით გადახედა.

– არა, ეგეთი არაფერი გაგვაჩნია, – მიმტკიცებდა იგი, – ჩვენში მხოლოდ ტხოპი და ყამა იციან.

მაშინ კი მივხვდი, რომ ზარაჰმედის ძმა დიდი დიპლომატი უნდა ყოფილიყო. არ უნდოდა გაემხილა, რომ ნანახი ჰქონდა – **„მაშ გირახუ დამბაცა“,** რომელიც რასაკვირველია, ოსის ხელში არცთუ კანონიერი გზით მოხვდებოდა.

ბოლოს ტხოშტებმა დაასკვნეს, ოსური უკვე გასწავლეთ, ახლა ურემს უნდა მივხედოთო.

გამოთხოვებისას ლუდზე მივიპატიჟე, სათანადოდ შევაფასე რა მისი მოქმედება, ამასთანავე ახლადგაცნობილს ვთხოვე თავისი სახელი ეთქვა.

– ბეზეკო ტხოსტევ – მიპასუხა მან და მახვილით განსაკუთრებით ბოლო მარცვალზედ მიმანიშნა.

– შენმა ძმამ რატომღაც მითხრა, რომ გვარად ტხოშტი ვარო.

– არაფერიც! – თქვა ბეზოკომ და კვლავ გამკილავად შეხედა ძმას...

– ჩვენი გვარი თხოსტევ ან თხოსტოვია.

ახლაც მეტყვით, რომ სლავებს მომავალი არა აქვთო (მთელი კავკასია თავის მრავალფეროვან სახელებს რუსული უნიფორმით მოსავს. ერისთავი ერისტოვად გვევლინება, ორბელიანი – არბელიანად, ტატიშვილი – ტატიევად. ღმერთმა იცის, რომელი სომხური გვარი უნდა იყოს გუსიკოვი და სხვა. ახლაც ახალგამომცხვარი ტხოსტევი მივიღეთ ტხოშტიდან... ოდესღაც დადგება დრო, ასეთი ტხოსტევი გვერდზე გადადებს თავის წეწა ნაბადს, საოცარ **„ნამატ ხუტს“** და რუსეთის ვრცელ იმპერიაში სლავებზე მეტნი იქნებიან.

საუბრის დასასრულს ისიც შევიტყვე, რომ ჩემი მეგობრების მამა – ჩადუ ტხოსტევი ყოფილა, ხოლო უმცროსი ძმა, ის ჭორფლიანი მოზარდი – ყემბოლათ ტხოსტევი.

წასასვლელად გაემზადნენ თუ არა, ბეზეკომ კიდევ ერთი შეკითხვა მომცა, რამდენ ხანს დარჩები ჩვენთან კაპკაიშიო (ვლადიკავკაზში).

– ხვალ საღამოს გავემგზავრები.

– აფსუს, – წამოიძახა ორთავემ, – საწყენია!

ბეზეკომ დასძინა:

– მზის დასავალში, შორეულ მხარეში, მშობლიურ აულში, ალბათ, დედ-მამა და და-ძმა გელოდება.

კი-მეთქი, ვუთხარი.

– ჰოდა, უამბე ჩვენზე, მერე ისევ ჩამოდი ჩვენთან, ეცადე მალე დაბრუნდე.

გამოთხოვებისას მხურვალედ ჩამომართვეს ხელი.

მეორე დღეს სასტუმროს სარკმლიდან ქუჩაში გადავიხედე და რას ვხედავ, თავსხმას იგი უკიდეგანო ჭაობად გადაუქცევია. მებრალებოდა ნაბდის ველასა და **„ნამატ ხუტით“** შემოსილი აშოლტილი ოსის ბიჭები, შარვალდაკარწახებულნი, რომ მიარღვევდნენ ნიაღვარს. უცებ მათ შორის თვალი მოვკარი ჩემთვის ნაცნობ ჭორფლიან სახეს.

დიახ, ეს იყო ყემბოლათ ტხოშტი, ორი ხელით მოათრევდა მარწყვით სავსე გოდორს, პირდაპირ სასტუმროს მოაშურა და გადმომცა ძმების მოკითხვა და საგზლად გამოგზავნილი ხილი.

***(დასასრული)***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ და ისევ კანონიერების აღდგენისა და ერთიანობის შესახებ

სამწუხაროა, რომ ბევრი ჩვენთაგანი, ვერ იგებს ეროვნული მოძრაობის ერთიანობის არსს – როდესაც ვერ იგებს, რომ ლაპარაკია ერის გაერთიანებაზე! ბევრი, თვით ჩვენი ერთგული თანამებრძოლი, საბოლოოდ ამ გაერთიანებას აღითქვავს, როგორც სადმე, რომელიმე პარტიაში ან **„მოძრაობაში“** გაერთიანებად და ყველას დაჟინებით მოუწოდებს გაწევრიანებას ამ გაერთიანებაში!

ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ, შევისისხლხორცოთ, რომ ჩვენ ვერთიანდებით არა არჩევნებში გამარჯვებისთვის, არამედ ჩვენი სამშობლოს გამარჯვებისთვის!!! ჩვენ მყარად ვდგავართ ამ პრინციპზე და ჩვენ ზურგს გვიმაგრებს კანონიერება, რომელიც ქართველთმოძულე, რენეგატი ძალისთვის ეს 25 წელი იქცა გადაულახავ ბარიერად!!!

1801 წელს მეფის ხელისუფლების გაუქმებით, გაუქმდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა (გაუქმდა კანონიერება) და იმ დღიდანვე ალექსანდრე ბატონიშვილისა და დარეჯან დედოფლის თაოსნობით დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც უწყვეტად გრძელდება დღესაც და გაგრძელდება მომავალშიც, ვიდრე არ მოხდება გაწყვეტილი კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ამა თუ იმ ფორმით. ბრძოლის ამ გზაზე ერის ისტორიაში მოხდა პატარ-პატარა გამონათებები, როდესაც ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი ატრიბუტიკის – კანონიერების გზას! მომავალშიც, ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის აუცილებელ ნაბიჯს წარმოადგენს აღიარება იმისა, რომ 1991-1993 წლებში საქართველოში მოხდა კრიმინალური გადატრიალება და უცხო ქვეყნის ინტერვენცია და რომ აუცილებელია პროცესების კანონიერ ჩარჩოებში აღდგენა, თორემ საუკუნეებიც რომ გავიდეს ამ პრინციპების აღდგენის გარეშე ნებისმიერი ხელისუფლება იქნება უკანონო!!!

დიახ, ჩვენ ზურგს გვიმაგრებს კანონიერება და დღეს კანონიერებას საქართველოში წარმოადგენს **„უზენაესი საბჭო“!** გთხოვთ კარგად გავითავისოდ არა **„უზენაესი საბჭოს“** წევრები, არამედ **„უზენაესი საბჭო“,** როგორც კანონიერი ორგანო!!!

25 წელი გავიდა და **„უზენაესი საბჭოს წევრების დიდ ნაწილს დღესაც ვერ გაუთავისებიათ ამ წევრობის არსი და ბევრი მათგანი „დაიღალა“ რა ამ (მისთვის „უკომპრომისო“) ბრძოლით, ახლა კომფორტისკენ ლტოლვა ახასიათებთ მხოლოდ და ნებისმიერი ხერხით მიილტვიან „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ რიგებში ადგილის დასამკვიდრებლად. ცხადია მათ ამ ლტოლვას ყველანაირად ხელს უწყობენ დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, რათა მათ მიერ ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ „უზენაესი საბჭოს“ წევრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თუ არა, რაც შეიძლება ბევრმა მაინც. ეს ხომ მათთვის ლეგიტიმურობის შეძენის ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება (??? ეს საზოგადოების თვალში სახელმწიფო გადატრიალებაში მათი ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობის გამართლებას თუ შეძლებს, თორემ კანონიერების თვალსაზრისით არაფერს შეცვლის). ხოლო ეროვნული მოძრაობის რიგებიდან წარმომადგენელნი (ე. წ. წარმომადგენელნი) ექცევიან რა კონიუნქტურის ჩარჩოებში აბსოლუტურად ივიწყებენ ეროვნული მოძრაობის არსს. ვინც არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, გთხოვთ დაასახელოთ თუნდაც ერთი მაგალითი მაინც, დე ფაქტო ხელისუფლებაში შესული ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების მხრიდან ერისთვის სასიკეთო ნაბიჯი ან ქმედება, რომელმაც ჭეშმარიტ ეროვნული მოძრაობას და თვით ამ მოძრაობის წევრებს რაიმე წინსვლა და სიკეთე მოუტანა?! დღესაც დე ფაქტო ხელისუფლებაში შეძრომის მსურველი „უზენაესი საბჭოს“ წევრები, თუ უბრალოდ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები ცდილობენ რა წარმოჩინდნენ ყველაფრის მცოდნეებად, თანამებრძოლებს ამუნათებენ, რომ ახლა სხვა დროა და რომ მსოფლიო (ანუ პუტჩისტების საზღვარგარეთელი „მფარველები“) ვერ გაიგებენ ამას. ასეთი „პატრიოტების“ საყურადღებოთ ვიტყვით, რომ ქვეყანაზე სხვა დრო არ არსებობს და რომ ეს ყველაფერი დაწერილია ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ წმინდა წერილებში:**

**„ესენი ეშმაკის სულები არიან, ისინი ახდენენ სასწაულებს, გამოდიან მთელი მსოფლიოს მეფეებთან, რათა შეკრიბონ ისინი საომრად ყოვლისმპყრობელი ღვთის დიდი დღისთვის.“** /გამოც. 6.14/

დიახ, ზუსტად ასეთი პიროვნებები ხალხს თავს აჩვენებენ ყველაფრის მცოდნეებათ და **„დიდ პატრიოტებად“,** ამასთან **„სასწაულებს ახდენენ“** და დიდ მხარდაჭერას ღებულობენ საზღვარგარეთიდან. მათთვის არჩევნებში, მონაწილეობის შემთხვევაში, წარმატების მიღწევისთვის მთავარია იქ მიიღონ მხარდაჭერა (**„მთელი მსოფლიოს მეფეებთან“**). ამიტომაა რომ ასე აიტაცეს **„პუტჩისტების“** ლოზუნგი: **„მსოფლიო ვერ გაიგებს“** და დღეს ზუსტად მათი მხრიდან ხდება **„უზენაესი საბჭოს“** კანონიერებასთან დაკავშირებული საკითხების მიჩუმათება. ისინი ცდილობენ ამაზე არასდროს ილაპარაკონ.

ჩვენ და საბედნიეროდ **„უზენაესი საბჭოს“** ბევრი წევრი არ მიილტვის ამ გზით სიარულისკენ. მათთვის მთავარი ერის გვერდით ყოფნაა, მათი სიყვარულის და არა **„უცხო ქვეყნების პოლიტელიტის“** სიმპატიების დამსახურებაა!!! აი სწორედ ჩვენი, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, წარმომადგენლების ვალია გვერდში დავუდგეთ მათ და გავერთიანდეთ კანონიერების გარშემო!!! ამიტომაც ყოვლად გაუგებარია მოწოდებები, რათა მოვიდნენ და გაწევრიანდნენ ამა თუ იმ გაერთიანებაში?! კანონიერების დაცვისთვის მებრძოლ ძალებში, თვითეულ ჩვენთაგანს გავლილი აქვს, თავისი თუნდაც არც ისე ხმაურიანი ტანჯვა-წამების გზა. ამ გზაზე დატრიალებული უამრავი ტრაგედიით და ბევრი თანამებრძოლის დაკარგვითაც კი და ჩვენი მისვლა ამა თუ იმ გაერთიანებაში, ხომ ამ გზის ღალატად აღითქმება! ან რომელ გაერთიანებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც შენს პოტენციურ თანამებრძოლს თავიდანვე ტალახს ესვრი!

გაერთიანება გაერთიანებისთვის სულ სხვაა. ჩვენი მიზანი კი გაერთიანებაა ერთობისთვის, რათა ერთად ვიაროთ კანონიერების გზით! ფაქტია ჩვენ უნდა ერთობა შევქმნათ, ამ ერთობისთვის კი საჭიროა დავუბრუნდეთ იმ საწყის სიწმინდეს, რომელსაც ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ეტაპი ჰქვია და რომელმაც დიდი გამარჯვება ერთხელ უკვე მოგვიტანა!!!

ამ აღმავლობის ეტაპის გამარჯვების სახე **„უზენაესი საბჭო“** აგერ გყავს, თუ იმ წლების კონსტიტუციის აღდგენაზეა ლაპარაკი, მაშინ აგერ გაქვს ეს კონსტიტუცია და კანონიერება – **„უზენაესი საბჭოს“** სახით. მაშ მივიდეთ მასთან, ავამოქმედოთ კანონიერების ეს ბერკეტი, დავუდგეთ გვერდით, გავაძლიეროთ. თუ საჭიროა **„ვაიძულოთ“** უზენაესი საბჭოს წევრები, ხოლო ვისაც არ სურს კეთილი ინებოს და დაწეროს განცხადება ქართველი ხალხის სახელზე, **„უზენაესი საბჭოს“** წევრობის დატოვებასთან დაკავშირებით, მოეშვას სპეკულაციას და დაყაბულდეს ყოფილ წევრობას. ამის შემდეგ რაც უნდა ის უქნია, ეროვნულ მოძრაობას იგი აღარასდროს დააინტერესებს.

დიახ, ზუსტად **„უზენაესი საბჭოს“** წევრები უნდა დადგნენ ერთად და თუ მათ მოახერხეს ასეთი თანადგომა, მაშინ ეროვნული მოძრაობის გაერთიანებაც ფრიად მარტივი იქნება. ეს ერთობა – გაერთიანება თანდათანობით ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდება. აგერ უკვე მალე წინ გველის რეფერენდუმისა და სახელმწიფოებრივობის აღდგენის საიუბილეო 25 წლისთავი. მიუხედავად არცთუ ისე დიდი აქტიურობისა ეროვნული ძალების მხრიდან, ამ დღეებში ნათლად გამოჩნდება ვინ სად დგას და რა ამოძრავებს. დარწმუნებული ვართ ბევრი ჩვენთაგანი გადალახავს ურთიერთდაპირისპირების არსებულ ზღვარს და სამშობლოს საკეთილდღეოთ ერთმანეთს გაუწვდის თანადგომის ხელს! ასევე ამ დღეებში მარტივად გამოჩნდება **„უზენაესი საბჭოს“** თვითვეული წევრის სახე, როდესაც მათ უნდა აირჩიონ: ხალხის გვერდით დგომაა მათი შინაგანი კრედო, თუ მათ ახასიათებთ რა ლტოლვა ძალაუფლებისადმი, აირჩევენ **„ძლიერთა ამა ქვეყნისათა შინა“** წარმომადგენლებთან ერთად, სხვადასხვა შოუ მასკარადებში მონაწილეობას. თვითვეულმა მათგანმა უნდა ახსნას, თუ რა სტატუსით ღებულობს იგი ამ შოუებში (სატელევიზიო, თუ სამთავრობო საზეიმო შეხვედრები) მონაწილეობას. თუ **„ყოფილი წევრის“** სახით კი ბატონო. ხოლო, თუ **“უზენაესი საბჭოს“** ამჟამინდელი წევრის სტატუსით, მაშინ კეთილი ინებონ და წარმოადგინონ ის დოკუმენტი (მოსაწვევი ბარათი), სადაც ისინი მიწვეულნი არიან როგორც ამჟამინდელი წევრები და არა როგორც ყოფილი. დროა ყველას ერთხელ და სამუდამოდ ჩამოეხსნას ნიღაბი! გაირკვეს ამჟამად ვინ თვლის თავს **„უზენაესი საბჭოს“** წევრად და ვინ ყოფილ წევრად!!!

ზუსტადაც, ჭეშმარიტ, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ფესვებიდან წამოსულ, გაუყიდველ, **„უზენაესი საბჭოს“** წევრებს აქვთ უფლება ერს მოუწოდონ გაერთიანებისკენ!!! ჩვენც, ეროვნული მოძრაობის რიგითი წევრები, როგორც ჯარისკაცები, ვალდებულნი ვართ გვერდში დავუდგეთ მათ! აი ამ და ასეთ ერთობაზეა საუბარი და არა ყველას ერთ სტრუქტურაში მოქცევაზე!

დიახ, ეს ძნელი პროცესია და ილუზიასაც არვინ ქმნის, რომ მარტივი მისაღწევია ეს. ფაქტია და ამას არავინ უარყოფს, რომ **კგბ-**ს წიაღში შობილი ჭორ-ბიუროს მანქანა, თვითვეულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრზე სიბინძურეების ნიაღვარს ავრცელებდა: ამან იქ ის თქვა, იმან ის გააკეთა, უღალატა, მოატყუა, გაიქცა, შეეშინდა და ა. შ. უსასრულოდ. საკმარისია კითხო თვითეულს და მოსთხოვო, ამას რომ ამბობ წამოდი და დაამტკიცე, პირზე დაადექიო და მისი ეს შემართება სადღაც ქრება და ყველანაირად ცდილობს თავი აარიდოს ასეთ **„სასამართლოს“:** ასე გავიგეთ, ასე თქვეს და ა. შ.

ზოგიერთისთვის ლამის პროფესიათაც კი იქცა ეროვნული მოძრაობის ღირსეულ წარმომადგენლებისთვის **„მოღალატის“** სტატუსის მიწებება. ისინი **„რაღაც“** გზებით **„იგებდნენ“** რა მთავრობაში არსებულ დამტკიცებულ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხზე ხმამაღლა ყვიროდნენ ყოველივეს რათა მათი პირიდან გაჟღერებულიყო ეს, რათა შემდგომში მათ მიერ აგორებულ ჭორებს, ჭეშმარიტ პატიოსან ადამიანებზე, მეტი და მეტი დამაჯერებლობა ჰქონოდა!!! ისინი დღესაც წარმატებით აგრძელებენ თავის **„პროფესიულ“** მოღვაწეობას. ასეთი ხალხის მიერ აგორებულმა ამ **„ფსიქოლოგიურმა“** ტერორმა შედეგი გამოიღო და ამ 25 წლის განმავლობაში მაქსიმალურად დაქსაქსა ეროვნული ძალები. ჩვენი ვალია გადავლახოთ ეს **„ტერორი“** და დავდგეთ ერთად, რათა წინ ვიაროთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ჩვენ თავიდანვე გავითვალისწინეთ ეს ყოველივე და ამიტომაც ავირჩიეთ ასეთი ღია ფორმა მოვლენების განვითარებისთვის. ჩვენს მიზნებში არავითარი ქვეტექსტი არ იგრძნობა. საერთოდაც სიბრიყვედ მიგვაჩნია, დღევანდელ პირობებში, რაიმე დამალო და დაფარო, ჩუმად იმოქმედო.

**25 წელი გავიდა და უზენაესი საბჭოს წევრების დიდ ნაწილს დღესაც ვერ გაუთავისებიათ ამ წევრობის არსი და ბევრი მათგანი დაიღალა რა ამ (მისთვის უკომპრომისო) ბრძოლით, ახლა კომფორტისკენ ლტოლვა ახასიათებთ მხოლოდ და ნებისმიერი ხერხით მიილტვიან „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ რიგებში ადგილის დასამკვიდრებლად.**

**გია ჩუთლაშვილი,**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## პოეზიის კუთხე

### რინა-ბედიშინდურია

თე ცხოვრება მუ რე, ჯგირო ქიდიბგურე.
ბრელიში რჩქინა მოკოდ დო ირფელი გაგნობშურე.
მოკოდ, რახანც დებაბდინი, ჭახანც ვადობღურე.
ჩქიმი კულა, ქვინჯი რწულა, ჯინჯშა გეშაფქურე.
ფიფრქე ამდღა, ფიფრქე ჭუმე, ტვინი გეგნვოფურე:
კოჩიში თეზმა წვალებას, ღორონთი მუშე ყურე?!
ვაგეფხარდა, თე ქანაშა, მუშა მომიტყურე?!
გოკო წკირიში წმნაბადქ, წკირც წმობღურე!
ჭიე– ჭიეთ პილნქ ვარი, ართათ გამკომსურე!...
ტყურას გირაგადქ და აბა თენა მუ რე?! –
შხვაშო შაშეფი დოლ, ჩქიმო, იაქე დო დუ რე!
შხვაში თუ ღეჯო ქიგნირთუ დო ჩქიმი თუ ირო თუ რე!
ლაიტის ქინუოთასანქნი, გეურც დო რწუ რე!
მუზმა ჩიჩიე ქიკოჩებუნი, ჩქიმი ბედი ფერი მუ რე?!
ხვალე ჩქიმო იმართლებუ: „კუში სქუა კუ რე“.
გილაფრთი დო გილაბდრხე, ღეჯიცალო მნდღურე.
ვართი კოჩი მიგენც, ვართ ღორონთი, ვითი ზღვა გეგნომჩურე.
სირჩინუექ ქათმოჭიშუ, ანწ მუ დმაგურე?
მიმეძულუ ქიანაქ, ტყვია ქიგიბწურე:
ცოდაცალი ნარდი ვორექ დო ცოდათ ოკო ბღურე!

* * *

მობაღნა თეზმა ლური,
ვარა მედინ მარგალური!
ირკოჩქ ქალუდირთათ ვარა,
მუთუნც ვახვარ ხვალე ზური!
არძოქ ხმა გეკიბღათ დო
თექ იძირე ჯგირ დო ფური!
აბა ართო ჯიმალეფი!
თქვანი გალვაფარი ჩქიმი შური!

**გოგი შონია**

### სირჩინუე

ტანც ლახარა აშეკილოთ, აშეხვარხვალ,
ვორწყექ მარა, ვართ მოკო იბრჩქინუე;
მუთუნი „დოხტური“ ხატ გონჭყორელც ეთის ვახვარ:
ათეს ჯოხო თი ნავარი სირჩინუე.
ვამიჩქუნო: თაქ მიარო ვართ მა გაბრძუქ
ღურა მურე: ართი თოლიში მოწკურუა;
ტყურა ვარე, ჯვეშიშ ორე ნარაგადუ;
ბებიქ ღურუ მუშ მოთაშა ოწურუა.
რინა ხოლო ცურუმულო ითებენო,
ჯგირ დო ფური აკაშკვე დო გოწყორენი;
ორჩინუეს რინას შხვანერი ნოღვე გემო,
შური ნწარე რე ღორონთიში გონჭყორელი.
ვაგოკოდას სირჩინუეშ მიკანჭაფუ;
ტყურა ორე თი სამოთხე ზალებური.
სი ჩიჩიე, სი ძობუნე თექ იჭყაფუ
ვარლურსუ დო სერეფი დეგირზალებუნი.

**გურამ ჯიქია**

**ჩხოროწყუ, ლესიჭინე**

# მცხეთა – მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი

*ანუ საქართველოს უძველესი სამეუფო ქალაქის – მცხეთის პროექტების: „მცხეთა-იერუსალიმისა“ და „გეთსიმანიის ბაღის“ ანალიზისა და შეფასებისათვის მოხსენება, რომელიც წაკითხულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „ეროვნული პრობლემების აკადემიური კომისიის“ 2015 წლის 12 ოქტომბრის სხდომაზე.*

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

გარდა ამისა ჩანართი ხალენისა წამძღვარებულ ნათქვამს ეწინააღმდეგება: ნათქვამი იყო: **“... არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ერთი: სამოსელი ძისა ღმრთისა აქა არს...და აწ მე მთავარი ესე შენი განვკურნო ძალითა ქრისტეს ღმრთისათა ჩემისათა...“**. ლეონტი მროველის ავტორობით ცნობილი თხზულების: „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ დამწერს არ უთქვამს: **„არს ქალაქსა ამას შინა სასწაული ორი“. „ხალენისა მის ელიასი თქუეს ვიეთმე აქავე ყოფა“** აშკარად ჩართულია სწორედ ხმის დასაყრელად. ნინოს გამოთქმულ აზრს არანაირად არ სჭირდება აქ ხალენის შემოტანა. თხზულების მიხედვით წმ. ნინო ეუბნება მეფე მირიანს, რომელმაც ნანა დედოფალთან ერთად სთხოვა მას სენით შეპყრობილი მოგვთა მთავრის განკურნება: – მეფეო, მოახლოვებულია შენი ხვედრი უფალთან მიახლებისა, რადგან სასწაულით ამ ქალაქშია სამოსელი ღმერთის ძისა, ჩემი ღმერთისა, ქრისტესი, რომლის ძალითაც უნდა განვკურნო მთავარი შენი, ისევე როგორც განვკურნე დედოფალი დიდი სენისაგან. და რაც მე ვაუწყე მას, იგი აღასრულებს (კიდეც უწყებულს), რათა განიბრწყინოს თავისი სულიცა და ერიც თვისიც მიაახლოს უფალს. აღნიშნული ფრაგმენტი ავლენს ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ იერუსალიმიდან ჩამოსულმა ნინომ, იერუსალიმის პატრიარქის დისწულმა, რომელმაც იერუსალიმიდანვე იცის მაცხოვრის კვართის დავანება მცხეთას, რომ იგი, კვართი უფლისა იერუსალიმიდან მცხეთაშია წამოღებული, და მცხეთაში შემოსვლისთანავე პირველ კითხვას კვართთან დაკავშირებულს სვამს, მაგრამ არაფერი იცის ილია წინასწარმეტყველის ხალენის შესახებ. მხოლოდ მცხეთაში იგებს ამას და ამასთან, არა როგორც დადასტურებულს, არამედ ვიღაცეების გაურკვეელ ნათქვამს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წმინდა ნინოს, ელია წინასწარმეტყველის ხალენის მცხეთაში დაკრძალულობის შესახებ ცნობა, იერუსალიმიდან არ მოჰყოლია, თვით იერუსალიმის პატრიარქისაგან. ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ **„ქართლის ცხოვრებაში“ „ელიაის ხალენის“** ის ერთადერთი მოხსენიების ფრაგმენტი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ, როგორც წმინდა ნინოს საუბრის ამონარიდი მეფე მირიანთან, ზუსტად არის მოხმობილი ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ თავის სახელგანთქმულ თხზულებაში: **„საკითხავნი სვეტიცხოველისანი“**, სადაც წმინდა ნინოს ეს სიტყვა ხალენის მოხსენიების გარეშეა წარმოდგენილი. ე. ი. ნიკოლოზ გულაბერისძის ვერსია ნინო-მირიანის საუბრის ეპიზოდისა ხალენის მოხსენიებას ნინოს მიერ საუფლო კვართის კონტექსტში, არ ადასტურებს. ამრიგად ფაქტია, რომ ელიას ხალენის არსებობა მცხეთას ქართული ქრისტიანობის წარმომადგენელმა და მსოფლიოს ორმა დიდმა პატრიარქმა არ იცის რომ ილია წინასწარმეტყველის ხალენი მცხეთაშია ჩამოტანილი: არც იერუსალიმის პატრიარქმა, იუვენალმა, წმინდა ნინოს დედის ძმამ, რომლის კურთხევითაც ნინო საქართველოში მოდის კვართის ჩამომტანი მცხეთელი ელიოზის კვალზე, და არც მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერისძემ, რომელიც საგანგებო და საკუთრივი მემატიანე და მეხოტბეა სვეტიცხოვლისა და სვეტიცხოველში დაკრძალული საუფლო კვართისა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს, ანუ ქართულ ცნობიერებაში, საერთოდ, ხალენის ფენომენი ილია მეორის მიერ საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებისთანავე იქნა წამოწეული, მაგრამ მისი ისტორიული რეალობის საკითხი არასოდეს გამხდარა მეცნიერული შესწავლის საგანი. ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს ისტორიის მთელ რიგ შეუსწავლელ პრობლემებთან, რომელთა პირველწყაროს – „ქართლის ცხოვრების“ – მეტისმეტად დაზიანებული, და წარყვნილი ტექსტი წარმოადგენს. ამას ყველა მკვლევარი აღნიშნავს ერთხმად. ამიტომ სრულიად სამართლიანად წერს **„ქართლის ცხოვრების“** ერთერთი საგანგებო მკვლევართაგანი, კონსტანტინე გრიგოლია, რომელსაც მაღალ შეფასებას ანიჭებს აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი: **“საქართველოს ისტორიის” წყაროთა შორის „ქართლის ცხოვრებას“ დამსახურებულად უჭირავს-ო მთავარი ადგილი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი სწორედ ისე მოხდა, როგორც იქ არის ჩაწერილი. „ქართლის ცხოვრებაზე“ გულდანდობით დამყარება და მისი ცნობების უკრიტიკოდ გამოყენება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამგვარ გულუბრყვილო ნდობას ძეგლისადმი მკვლევარი შეუძლია სერიოზულ შეცდომებამდე მიიყვანოს“** (კ.გრიგოლია – **„რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება“**). როგორც ვხედავთ, ცნობა, რომლითაც დავით აღმაშენებელი, მისმა მემატიანემ, მთელ რიგ გარემოებათა გამო, 78-ე თაობად მოიხსენია დავით წინასწარმეტყველისად, სწორედ იმდაგვარ ცნობებს მიეკუთვნება, რომელთა შინაარსზე გულდანდობით დამყარებას სერიოზულ შეცდომებამდე შეუძლია მიგვიყვანოს. საქართველოს ეკლესიამ ეს ცნობა კი არ ახსნა, არამედ როგორც ცნობილი მკვლევარი კონსტანტინე გრიგოლია აღნიშნავს, **„გამოიყენა სრულიად უკრიტიკოდ“** და მივიდა სერიოზულ შეცდომამდე: ქართველი ერის მთელი ისტორია ძირფესვიანად ჩააბარა ებრაელებს, წყალი იმ წისქვილზე დაასხა, იმ ინფორმაციულ ომზე, რომლითაც გარკვეული ებრაული ძალები ცდილობენ ჩვენი ტერიტორიის მითვისების მიზნით თავი გამოაცხადონ ჩვენი, ქართველი ერისავე მოდგმის ხალხად. მთელი ეს ინფორმაციული ომი, რომელიც საქართველოს და ქართველი ერის, როგორც დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ერის ჩაყლაპვას ემსახურება მხოლოდ, ებრაელთა მიერ, პოლიტიკური ცილისწამებაა ქართველი ერის ვინაობაზე თავსმოხვეული, მისივე გონების ასამღვრევად და შეცდომაში შესაყვანად, ქართველთა ქვეყნის მიტაცების მიზნით. მსოფლიოს ახალი წესრიგის სახელით მიმდინარე მთელი მსოფლიო პოლიტიკა მოითხოვს საერთაშორისო სამართლებრივ განხილვასა და ანალიზს. მსოფლიოს ეს ახალი წესრიგი, რომელიც აშკარად უწესრიგობისა და მსოფლიოს ნგრევის სურათს უფრო გვიქმნის, ვიდრე წესრიგისას, აშკარად მთელი კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის შთაბეჭდილებასა და განცდას სტოვებს, როგორც მას ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, დოქტორი ჯონ კოლემანი უწოდებს: კაცობრიობის წინააღმდეგ მოწყობილი შურისმაძიებელი შეთქმულების შთაბეჭდილებას. მსოფლიოს ახალი წესრიგის ნიღბით შემოსულ მსოფლიო ებრაელობას სურვილი აქვს მოვიდეს ქართველთა ქვეყანაში, ანუ ქართველთა, როგორც თავისი უფალივით ჯვარცმული ერის ქვეყანაში, როგორც საკუთარ ქვეყანაში, მოვიდეს თავისი ე. წ. **„მეგობრული ინვესტიციებით“**, ამასთან როგორც წარმომადგენელი ჩვენი უფლის ჯვარმცმელი ხალხისა და **„მეორედ მოსვლის“** ჩვენეულ მოლოდინში ჩაინაცვლოს, ცინიზმით, ანუ ანტიქრისტე ინვესტორი მოვიდეს მეგობრობის, ანუ ქრისტეს ნიღბით. საქართველოს ეკლესიას კი სურვილი აღმოაჩნდა ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს გეთსიმანიის ბაღის მზადებით შეხვდეს, ანუ იერუსალიმის იმ ისტორიული ბაღის ანალოგის მოწყობით, სადაც იუდა ეამბორა ქრისტეს, სადაც ავაზაკივით შეიპყრეს იესო ქრისტე გასაშოლტად და ჯვარზე საცმელად, სადაც ქრისტეს შეპყრობით დამფრთხალი მოციქულები მიიფანტ-მოიფანტნენ და დაიმალნენ... რატომღაც, ჩვენ, საქართველოს პატრიარქმა დასვენება და განათლება მცხეთაში ხელოვნურად შექმნილ გეთსიმანიის ბაღში მოგვისაჯა. მცხეთა **„ქართლის ცხოვრებით“** ცნობილი იყო ქართლის მეფეთა სამეფო ბაღებით: სამოთხე-ბაღნარებით, ამ ბაღნარებთან დაკავშირებული სასწაულებით. თავად სვეტიცხოვლის აშენებაც სამეფო ბაღის ტერიტორიაზე მოუსურვებია მეფე მირიანს. ყველა სასწაული, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძრის აშენებასთან არის დაკავშირებული, ხდება სამეფო ბაღის ტერიტორიაზე: **“ვითარცა რიჟუ-რაჟუ ოდენ იყო, აღდგა მეფე მირიანი გულგდებული ურვათაგან, მიხედნა სამოთხესა მას და დაწყებულსა ეკლესიასა, სადაც იგი მტკიცე იყო გონება მისი, იხილა ნათელი, ვითარცა ელვა აღწევნული ცად სამოთხით მისით... და ყოველი ერი ქალაქისა მოვიდა მისთანა. ვითარცა იხილეს საკვირველი იგი, ნათლით-ბრწყინვალე სუეტი ჩამოვიდოდ ადგილად თვისად, რეცა ვითარცა ზეცით, და დადგა ხარისხსა მას ზედა, და დაემყარა ხელით შეუხებლად კაცთაგან...“**(იხ. **„ქართლის ცხოვრება“**, ტ.1, გვ.93, გვ.111- 112, გვ.114-115). სვეტიცხოველზე დიდი სასწაული რაღა უნდა მოხდეს მეფე მირიანის სამოთხეში, სადაც თავად მაცხოვრის კვართია დაკრძალული! მეფე მირიანის სამოთხის მცველთა სახლში შეჩერებულა პირველად მცხეთაში უცხოდ შემოსული წმინდა ნინო და იქ უცხოვრია ცხრა თვე. პირველი საწაული წმინდა ნინომ სწორედ მირიანის სამოთხის წმინდა მიწის ძალითა და სასწაულებრივი მადლით აღასრულა,. განა სამთავროს ტერიტორია, სადაც მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას საფლავებია, საქართველოს სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის პირველმაღიარებელი მეფე-დედოფლის, თავისი ახალი ბაღნარით არ იმსახურებს მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის სახელს, და ეს უფრო ბუნებრივი არ იქნება მცხეთისთვის, როგორც საქართველოს უძველესი დედაქალაქისა და წმინდა ქალაქის ისტორიისათვის?! განა მეფე მირიანის ისტორიულ ნაბაღნარზე გაშენებული თუნდაც იერუსალიმის **„გეთსიმანიის ბაღი“** არ დაემგვანება **„ნაბოთეს ვენახს“**?! ახალი იერუსალიმი სრულიადაც არ ნიშნავს ჩვენი დიდი წინაპრებისთვის არც იერუსალიმის გეოგრაფიულ გადმოხატვას და არც მსოფლიო ებრაელობის ბიზნეს-კომერციულ ქალაქად გარდასახვას. გეთსიმანიის ბაღი სამთავროს ტერიტორიიდან დაწყებული მცხეთის ჯვრის მონასტრამდე, დღევანდელ ვითარებაში(!), ეს ხომ იციკ შავითთა, ანუ ებრაელ ინვესტორთა საამებლად გამოგონილი ბაღია?! სათავე ამ ორივე პროექტისა, რომელზედაც ვსაუბრობთ: **„გეთსიმანიის ბაღისაც“** და **„მცხეთა-იერუსალიმისაც“**, საქართველოს ეკლესიურ ცნობიერებაზე თავს მოხვეული ჯერ ბაგრატიონთა ებრაელობაა, ანუ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა სამეფო ტიტულის: **„დავითიანის“** რელიგიური და ქართულ – ეკლესიური კანონიკური შინაარსის გაგება დავით მეფისაგან ხორციელი შთამომავლობის მნიშვნელობით და შემდეგ უკვე მთელი ქართველი ერისა და მთელი ებრაელი ერის გამოცხადება ერთი მოდგმის ანუ იბერიული მოდგმის ხალხებად... ეს ისრაელი, როგორც ანტიქრისტე მოიწევს მცხეთაში, ქართული სულის ჭურჭელში ჩასადგომად, ახალი საღმრთო და საზეპურო ერის აღსაკვეთად ქართული მიწიდან, რათა სვეტიცხოვლის ფუძეში დაკრძალულ დედა სიდონიას მკლავებს, გულში ჩაკრული საუფლო კვართი გამოგლიჯოს და სვეტიცხოველი, როგორც ქალდეველთა მოდგმის ახალი ბაბილონის ტაძარი, დაგვინგრიოს. მაგრამ მომავალი კაცობრიობისა ეკუთვნის ქრისტეს, და ქრისტიანობას, ხოლო საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა!

**დენიზა ხუმბაძე**

# ქართველი ვარ! საქართველო ჩემი სამშობლოა და აქ მე ვადგენ კანონებს!

*(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)*

5. ეკონომიკური დეგრადაცია. ეროვნული ეკონომიკის ჩამოუყალიბებლობა. ეროვნული სავაჭრო სისტემის აღორძინების ნაცვლად მისი მიზანმიმართული დაშლა-დაქუცმაცება ქვეყნის საზიანოდ და უცხოტომელთა სასარგებლოდ. დავიწყოთ იმით, რომ ეკონომიკა არის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი სფერო ქვეყნის განვითარებისთვის. ვინაიდან ქვეყნის აღორძინებას მარტო ეკონომიკა არ განსაზღვრავს, თუმცა აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი სფეროა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ფსევდო-თავისუფლების მიღებით საქართველომ ვერც ეკონომიკა ააღორძინა. პირველი მიზეზი ისაა, რომ საქართველოს ურთიერთობა მოშლილი აქვს ისეთ ძლიერ მეზობელთან, როგორც რუსეთია. ამერიკა კი ხელს უწყობს რეგიონში რუსეთის წინააღმდეგ პროპაგანდას თავისი ეკონომიკური ინტერესების დასაცავად. არ აძლევს სახელმწიფო სტრუქტურებს მიიღონ კანონები ეკონომიკური წინსვლის სასარგებლოდ რეგიონში, რასაც ისიც ამძაფრებს, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოს ტერიტორიაზე მიმოსვლის საშუალებაც აკრძალულია. ანუ საქართველო ეკონომიკურად მოქცეულია ჩაკეტილ სივრცეში ამერიკასა და რუსეთს შორის და მას ოდნავი შესაძლებლობაც კი არ აქვს საკუთარი ეკონომიკის აღორძინება-განვითარებისა. ამას ემატება საკანონმდებლო სისტემაში ქვეყნისთვის არასასურველი კანონების მიღება, რის საფუძველზეც ფორმდება საერთაშორისო ხელშეკრულებები. ამით ქვეყნიდან გაედინება ისეთი სასიცოცხლო ბუნებრივი ესურსები, როგორიცაა ქვანახშირი, ელექტროენერგია, მარგანეცი, ოქრო, წყალი. საქართველოს ეროვნულ სიმდიდრეს თვალწინ აცლიან უკანონო კანონმდებელი ქურდები ამერიკის მხარდაჭერით. აქ, პირველ პლანზე, პიროვნული გამდიდრების ინტერესებია წამოწეული, რომელიც ქვეყნისთვის დამაქცევარია.

ქვეყანას ფიქრიც კი არ შეუძლია ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაზე მუდმივი შანტაჟის გამო დასავლეთის მხრიდან. ეს შანტაჟი, პირველ რიგში, რუსეთის მისამართით ხორციელდება, რათა რუსეთი იყოს საფრთხობელის როლში და თავად მიიღოს რაც სურს. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფო სტრუქტურებში მოკვარახჭინებულია ეკონომიკის სფეროში ყველაფრის გადინება ამერიკაში. ქვეყანაში არაფერი რჩება, გარდა ლუკმა-პურისა, რომ ხალხი ერთბაშად არ დაიხოცოს და ამით ერთბაშად რომ არ გამჟღავნდეს ამერიკის დამპყრობლური პოლიტიკის მიზნები.

6. სოფლის მეურნეობის არაეროვნულ, არაქართულ ყაიდაზე მოწყობის მცდელობა ყალბი საერთაშორისო კანონმდებლობების შემოჩეჩებით მიწის საკუთრების საკითხში. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ ვერ მიაღწია საერთაშორისაო სამართალმა ერთა ნამდვილ სწორუფლებიანობის იდეამდე. აქედან გამომდინარე, ვერ დავეყრდნობით საერთაშორისო სამართლის არაფრისმთქმელ კანონებს საქართველოში მიწის საკუთრებასთან მიმართებაში. ჩვენ ვერ გავყიდით მიწებს უცხო მოქალაქეებზე, იმ მოტივით, თითქოს ისინი შეგვიქმნიან სამუშაო ადგილებს, ფულს დაურიგებენ მომსახურე პერსონალთ, ააღორძინებენ მეურნეობას. ყველაფერი ეს მტკნარი სიცრუეა!

აქედან გამომდინარე, ოცდახუთწლიანმა გამოცდილებამ უნდა დაანახოს ქართველ ხალხს, რომ ურთიერთობა ამერიკასთან უსარგებლოა საქართველოსთვის. უფრო მეტიც, საზიანოც კი! საჭიროა გადაწყვეტილების დროული მიღება ქვეყნის კურსის შესაცვლელად. ეს არის უპირველესი საშური საქმე ქვეყნის გადასარჩენად.

**მაია-დარეჯან ჯიქია**
**თეატრალური სასწავლო სტუდია "დურუჯის" ხელმძღვანელი**

# აფხაზების შემობრუნების და აფხაზეთის ერთიან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები

*(ამონარიდი ნაპო მესხიას წიგნიდან: „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“)*

კონფლიქტის ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე სპეციალური პროექტების, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალური სფეროს ინფრაქსტრუქტურის აღდგენითა და აღორძინებით აფხაზი ხალხი დაინახავს და ირწმუნებს, რომ ჩვენ მოვდივართ არა ტანკებზე ამხედრებულნი და მუშტმოღერებულნი, არამედ მშვიდობით და გვსურს, სულ სხვა, ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე რეინტენგრირება აფხაზეთში. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია აფხაზი ხალხის შემობრუნებისა და შემორიგების საქმეში, მაგრამ ამისთვის დღემდე მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. აღარც საპარლამენტო არჩევნებამდე დეკლარირებული მრავალმილიონიანი ინვენსტიციები ჩანს რეალური. ყოველ შემთხვევაში, კონფლიქტის ზონაში ჯერჯერობით სასიკეთოს ვერაფერს შენიშნავთ, თუ არ ჩავთვლით ახლახან სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მშენებლობის დაწყებას. ძნელი სათქმელია, მიიპყრობს თუ არა ასეთი სამედიცინო ცენტრი აფხაზი ხალხის ყურადღებას, რადგან ისინი მარტივი ქირურგიული ჩარევებისთვის იქ არ მივლენ, რადგან სოხუმში (და არა მხოლოდ იქ) აქვთ კომპიუტერებით აღჭურვილი და უცხოეთში მომზადებული სამედიცინო კადრებით დაკომპლექტებული თანამედროვე სამედიცინო სამსახურები. ასე რომ, ტრადიციული პროფილშეზღუდული სამედიცინო დარგებით, ყურადღებას ვერ მივიქცევთ. მათი დაინტერესება შეიძლება მხოლოდ ისეთი სამედიცინო კომპლექსით, სადაც, ტრადიციულ დარგებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ურგენტული და კატასტროფული მედიცინის ისეთი დარგები, როგორებიცაა: ტრანსაბდომინალური ინტრასისხლძარღვოვანი კარდიო და ნეიროქირურგიული სამსახურები, სპინალური მძიმე ტრავმის, სეფსისისა და დამწვრობის ცენტრები, წერტილოვანი გამათერაპია, არატრადიციული უსისხლო პროსტატექტომია, ლიტოტრიპსია და სხვ. მაშინ ეს კომპლექსი არა მარტო ჩვენში, არამედ სრულიად კავკასიაში გადაიქცევა უნიკალურ, უპრეცედენტო სამედიცინო ცენტრად და ის უეჭველად მიიქცევს აფხაზების, ოსებისა და რეგიონის სხვა ხალხების ყურადღებას. ამ საკითხზე არაერთხელ მქონდა საუბარი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან, ბატონ დავით სერგეენკოსთან, რომელსაც, როგორც პროფესიონალს და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მაღალჩინოსანს, სიღრმისეულად აქვს გათვითცნობიერებული ასეთი პროექტის პოლიტიკური მნიშვნელობა და როლი ქართულ-ფხაზურ კონფლიქტის მოგვარების საქმეში. სწორედ ამიტომ ხვდებოდა იგი გაგებით ჩემს აქტიურობას. ბატონი სერგეენკო ითვალისწინებდა, რომ კონფლიქტის ზონის განაპირას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიებით აღჭურვილი და უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე მედპერსონალით დაკომპლექტებული მრავალპროფილიანი სამედიცინო კომპლექსის აშენების იდეის სათავეებთან ვიდექი. ახლა კი ამ იდეის განხორციელებას თვითონ ცდილობს და, იმედია, მისი ძალისხმევა ახლო მომავალში გამოიღებს პოზიტიურ შედეგებს.

ასევე, ძალზე მნიშვნელოვანი შედეგი ექნება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს – სასაზღვრო ზონაში საბითუმო სავაჭრო ცენტრის შექმნა, მოსაზღვრე რეგიონების ოფშორულ ზონებად გამოცხადება და სხვა ასეთი ღონისძიება ხელს შეუწყობს ხალხებს შორის კომუნიკაციის აღდგენას, გაუცხოების პროცესის შენელებას. აქედან გამომდინარე, ასეთი პროექტები აუცილებელია ნდობის აღდგენის, აფხაზი და ოსი ხალხების ჩვენკენ შემობრუნება-შერიგებისთვის.

ეს ისეთივე აქტუალური და მნიშვნელოვანია, როგორიც სახალხო დიპლომატიაა კონფლიქტის მოგვარებაში.

სახალხო დიპლომატია საგრძნობლად გაზრდის ხელისუფლების ლიდერის ძალისხმევის ეფექტიანობას პოლიტიკური დიალოგის აღდგენაში. ამიტომ საჭიროა მისი წინა პლანზე წამოწევა, სახელმწიფო დონეზე აყვანა და ხელისუფლების მხარდაჭერა. ის უნდა იქცეს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებასთან ერთად, წამყვანი როლი უნდა მიენიჭოს, რადგან აფხაზებსა და ჩვენ შორის არსებული პრობლემების მოგვარების გასაღები აფხაზეთიდან დევნილი თუ იქ დარჩენილი ქართველი მოსახლეობის ინტერესთა გადაკვეთაზე დევს. ამდენად, მეტად ყურადსაღებია აფხაზებისა და სამეგრელოს მოსახლეობის ისტორიული კეთილ-მეზობლობა, ნათესაური კავშირები და ურთიერთობა ისევე, როგორც მათი მენტალური სიახლოვე და ადათ-წესები. სამეგრელოს უნდა დაუბრუნდეს მისი ისტორიული როლი და მისია – საქართველოსთვის აფხაზეთის შენარჩუნების მისია. მხარეებს შორის კომუნიკაციის აღდგენისა და შერიგების პროცესში სამეგრელოს მოსახლეობის აქტიური ჩართვაა საჭირო. მხოლოდ აფხაზების შემორიგებითაა შესაძლებელი კონფლიქტის დაძლევა და ჩვენს ხალხებს შორის პრობლემების მოგვარება. ჯერ აფხაზები უნდა დავიბრუნოთ!

ერთიან სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთის დაბრუნება მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებთან პირდაპირი დიალოგით, მხოლოდ მათთან შეთანხმებული მოქმედებებითაა შესაძლებელი. სხვა მიდგომა კონტრპროდუქტიულია და დაუშვებელი. ხალხთა შერიგების გზა ერთადერთი სწორი გზაა, ამიტომ მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობა და დიალოგი აქტიურად უნდა მიმდინარეობდეს, ხელისუფლების ძალისხმევის პარალელურად.

სახალხო დიპლომატიის აქტიური წარმართვისთვის საჭიროა აფხაზურ მხარესთან, მის ლიდერებთან კონტაქტების დამყარება, კონსტრუქციული დიალოგის რეჟიმის ჩამოყალიბება და მათთან მუშაობა, აფხაზური და ქართული მხარეების წარმომადგენელთა უწყვეტი შეხვედრებისა და დიალოგისთვის სათანადო ნიადაგის შემზადება. გასაგებია, რომ ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც მიღწეული იქნება შეთანხმება რუსეთთან და მისგან საქართველოსადმი ლოიალური დამოკიდებულების ჩამოყალიბების შემთხვევაში, რაც, თუ გავითვალისწინებთ პრეზიდენტ პუტინის ბოლოდროინდელ არაერთგზის მინიშნებებს, არც თუ ისე არარეალურად და უპერსპექტივოდ გამოიყურება. აფხაზებსა და ქართველებს შორის აქტიური დიალოგისა და შერიგების პროცესის ფართოდ გასაშლელად, მისთვის სასურველი გარემოს, ხელსაყრელი ვითარების შესამზადებლად და ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ქვეყნის ლიდერის პირადი წარმომადგენლის ან საგანგებო დავალებათა დესპანის სტატუსის შემოღება სათანადო უფლებებითა და პასუხისმგებლობით. ეს ადამიანი დღენიადაგ უნდა საქმიანობდეს მხარეებს შორის ლოიალური ურთიერთობის გარემოს ჩამოსაყალიბებლად. აქ ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი დესპანის პირადი თვისებები. მას უნდა ჰქონდეს ცხოვრებისეული გამოცდილება და ავტორიტეტი მოპირისპირეთა შორის. სასურველია, თუ ის გამორჩეული იქნება ინტელექტით, ტაქტითა და დიპლომატიის უნარით. ის უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ნეტარხსენებული ნოდარ დუმბაძის შეგონებისამებრ, შეეძლება, **„ფრთხილად შეეხოს აფხაზთა გულების სიმებს“**, რაც მეტად მნიშვნელოვანია დიალოგის წარმატებით წარმართვისთვის. აქ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა საჭიროა ასეთი ლირიკული გადახვევა, მაგრამ, გამოცდილებიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევ ამაზე საუბარს.

ერთხელ, აფხაზურ მხარესთან სამთავრობო დონის შეხვედრისას, ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა ლიდერმა (კონფლიქტის დარეგულირების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ, რეზო ადამიამ) ბანკეტზე (შეზარხოშებულმა) მიმართა აფხაზებს ყველას გასაგონად: „რა, აფხაზო მეგობრებო, ხომ ხართ ცუდად! უარესად იქნებით, თუ გონს არ მოეგებით და ჭკუას არ მოუხმობთ!“ ხოლო ჩვენი მეორე წარმომადგენელი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ცანავა უხეშად მიუჯდა მოლაპარაკების მაგიდას, ფეხი ფეხზე გადაიდო და ყოველგვარი თადარიგის გარეშე წამოროშა: „Ну, что, абхазские друзья, будем мириться, или будем воевать?!“ აფხაზეთის დელეგაციის წევრები ადგნენ და უსიტყვოდ გავიდნენ ოთახიდან. იმავე საღამოს, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მიღების წინ, აფხაზეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, სერგეი ბაგაფშმა გამიხმო განზე და მეუბნება: „Ты видишь, мой дорогой Шалвович, что происходит?! Вот, как к нам обращаются, как с нами разговаривают! Они нас за людей не считают! О каком примирении и о каком доверии может идти речь!? Нет, нет! С этим все покончено! Хватит!“. ჩემს სიტყვებს აქ ფასი არ ჰქონდა, მან ჩემი მოსმენაც არ მოისურვა და ასე დავშორდით ერთმანეთს. შემდეგ რომელ შერიგებაზე შეიძლებოდა საუბარი?! ეს ხდებოდა სტამბულში ქართულ-აფხაზური მხარეების შეხვედრისას. ჩვენი მხარის ასეთი ამპარტავანი და ქედმაღლური გამოხდომებისა და საქციელის გამო, ვერც ათენში იქნა მიღებული გაეროს მიერ შემოთავაზებული რეზოლუცია კონფლიქტის ზონაში სწრაფი რეაგირების ოთხმხრივი მოქმედი ჯგუფების შექმნის შესახებ და ვერც სტამბოლში. ეს ხდებოდა 1998-1999 წლებში. იმავე 1999 წლის ბოლოს, სწორედ ასეთი საგანგებო დავალებათა დესპანის რანგში, ვეწვიე სოხუმს აღნიშნული რეზოლუციით, რომლის შვიდი პუნქტი იმხანად არ იქნა მხარდაჭერილი მხარეების მიერ, და ახლა ბატონ ანრი ჯერგენიასთან, ვლადისლავ არძინბას მთავარ მრჩეველთან, სულ ნახევარი საათი დაგვჭირდა იმისათვის, რომ გამოგვენახა კონსენსუსი. მან დოკუმენტის ჩემეული ვარიანტი შეათანხმა ვლადისლავ არძინბასთან და ერთი კვირის თავზე ამ დოკუმენტს მხარეებმა ხელი მოაწერეს თბილისში.

მანამდე, სწორედ მასთან და აფხაზური მხარის სხვა ლიდერებთან ხანგრძლივი კულუარული შეხვედრებისა და მრავალსაათიანი მოლაპარაკებების შედეგად, 1995 წლის იანვარის, თებერვალისა და მარტის მოსკოვური ოთხმხრივი შეხვედრების წინა დღეებში, ოფიციალური სოხუმის თანხმობით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც დევნილების მასიურ და უსაფრთხო დაბრუნებას ითვალისწინებდა. ექსპერტის დონეზე ბატონი ანრი ჯერგენიასა და ჩემს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი შეიცავდა ისეთ პუნქტებსაც, რომლებიც აფხაზეთს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მოიაზრებდნენ, მის შემადგენლობაში განიხილავდნენ. ასე, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, უარი ეთქვა მოლაპარაკებების ჟენევისა და მოსკოვის ფორმატებს და შევარდნაძის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანილი და ინტერნაციონალიზირებული ქართულ-აფხაზური დიალოგი უბრუნდებოდა ისევ აფხაზეთს, თავის პირვანდელი შიდარეგიონალური პოლიტიკური კონფლიქტის იერსახეს იძენდა. ეს კი კონფლიქტის მოგვარების არსებული ფორმატის რღვევას ნიშნავდა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყებოდა. მოსკოვისა და ჟენევის ნაცვლად, ქართულ-აფხაზური დიალოგი სოხუმში და გალში გადმოდიოდა და, შეთანხმების თანახმად, პირველი ასეთი შეხვედრა კვირის ბოლოს გალში უნდა გამართულიყო! მაგრამ შევარდნაძე, ეს „დიდი“ პოლიტიკოსი არ ღებულობს დოკუმენტის ქართველ თანაავტორს, თქვენს მონა-მორჩილს, არ ინტერესდება მხარეების მიერ შემუშავებული და შემოთავაზებული დოკუმენტით, რადგან ყოველივე ეს ხდებოდა მის გარეშე, რაც ჩრდილს აყენებდა და აკნინებდა, ალბათ, მისი აზრით, მსოფლიო დონის პოლიტიკოსის ავტორიტეტს. ხოლო მისი გარემოცვა (თ. ნადარეიშვილის დივერსიული ჯგუფი) ორი დღით ადრე გალის შემოგარენში აწყობს უპრეცედენტო ტერაქტს, რის შედეგადაც იღუპება აფხაზური მილიციის შვიდი მაღალჩინოსანი და ასე იშლება შეხვედრა გალში და, მასთან ერთად, მხარეებს შორის ყოველნაირი შეხვედრები და დიალოგი. შეიძლება აფხაზეთის პრობლემების მოგვარების საკითხი სრულებით არ შედიოდა ამ **„დიდი“** პოლიტიკოსის გეგმებში. ვინ იცის, ვინ გვეტყვის სიმართლეს?! თუმცა მისი პოლიტიკური ხელწერა და მის მიერ დაშვებული მიუტევებელი, ღალატის ტოლფასი შეცდომები შეუცდომლად ღაღადებენ ამაზე.

აი რა შეუძლია ამპარტავან პიროვნებას და მის ავადმყოფურ ამბიციებს!

აფხაზურ მხარესთან შეხვედრების და დიალოგის მთავარი და ძირითადი თემა იყო და იქნება ყოველთვის, რა თქმა უნდა, დევნილების დაბრუნება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ა. შ., მაგრამ იყო ასევე თემები და საკითხები ამ ძირითადი და გლობალური პრობლემის შიგნით, რომლებიც საუბრის მიღმა რჩებოდნენ, ხოლმე, არადა, მათი გამოყენება, მოშველიება ძალზე მომგებიანი და მნიშვნელოვანი იყო, ზოგჯერ გადამწყვეტიც კი. აფხაზური მხარის სრულუფლებიან წარმომადგენელთან, ბატონ კონსტანტინ ოზგანთან, ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმებით, ჩემი არაერთგზის შეხვედრისას (ადლერში, ბამბორაში, სოხუმში და ა. შ.), როდესაც ვიხილავდით საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის საკითხებს, ჩამოვარდა საუბარი აფხაზეთის ორ ნაწილად გაყოფაზე. იმხანად ისინი უყოყმანოდ თმობდნენ გალისა და ნაწილობრივ ოჩამჩირის რაიონების ტერიტორიებს ღალიძგამდე – ძველი სამურზაყანოს ტერიტორიას, იმ შემთხვევაში, თუ ქართული მხარე აღიარებდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ კონსტანტინ ოზგანის მოსაზრება არ იყო. ასეთი მოსაზრება არაოფიციალურ საუბრებში ბევრჯერ გამოუთქვამთ აფხაზური მხარის წარმომადგენლებს, მათ შორის, დეპუტატებსაც. მაგრამ ახლა ეს საუბარი ოფიციალურ ხასიათს იძენდა და საკითხი იხილებოდა ჩვენ მიერ. ჩემი პოზიცია, რა თქმა უნდა, უარყოფითი იყო, თუმცა, რადგან საუბარი ჩამოვარდა აფხაზეთის დანაწევრებაზე, შევახსენე ჩემს ოპონენტს, რომ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისას აფხაზეთს არ ეკავა ის ტერიტორია, რომელიც უჭირავს დღეს. იმჟამინდელ აფხაზეთს გაცილებით მცირე ტერიტორია ეკავა, რადგან, არა მარტო **„სამურზაყანო“**, არამედ ძველი საბედიანო, სადაც განისვენებს საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე, დალის (კოდორის) ხეობად წოდებული ტერიტორია, სამეგრელოს პროტექტორატით, გაცილებით ადრე შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მოკლედ, დაწვრილებით მოვახსენე ბატონ ოზგანს, რომ აფხაზეთი, გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის (აფხაზეთის სვანეთითა და ტყვარჩელით) რაიონების ტერიტორიების გარეშე შევიდა რუსეთის შემადგენლობაში შორეულ 1810 წელს. აფხაზებს უპირველეს არგუმენტად მოჰყავდათ რუსეთთან მათი შეერთება საქართველოსგან დამოუკიდებლად, მაგრამ ჩვენი საუბრის შემდეგ ბატონი ოზგანი გაცილებით კომპრომისული აღმოჩნდა და დიალოგმა მიიღო უფრო მშვიდი, კონსტრუქციული ხასიათი. საუბარი უკვე დაიწყო გუმისთის იქით (სოხუმის გამოკლებით!) მდებარე ტერიტორიების გამოყოფასა და ამ ტერიტორიებში აფხაზეთის დამოუკიდებლად გამოცხადებაზე. ამ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობის ორი კომპრომისული ვარიანტი, რომლებზეც კონფიდენციალურად მოვახსენე შევარდნაძეს, მაგრამ მან ეს ინფორმაცია, სამწუხაროდ, უკომენტაროდ დატოვა – როგორც იტყვიან, ერთ ყურში შეუშვა, მეორედან კი გამოუშვა. არადა, ჩვენ მიერ, ოზგანთან ერთად, შემუშავებული პროექტები აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის, მათ შორის, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, მეტად საინტერესო და ყურადსაღები იყო.

რადგან ეს პროექტები თავის დროზე არ იქნა მიღებული, აღნიშნულის შესახებ არსად მითქვამს. ინფანტილურ სააკაშვილთან ამ საკითხზე საუბარი კი, რაღა თქმა უნდა, უაზრობა იყო!

გადავწყვიტე, აფხაზეთის პრობლემების მოგვარების ჩემეული ხედვა და მიდგომა, სხვა მოსაზრებებთან ერთად, გამეზიარებინა ბატონი ბიძინა ივანიშვილისთვის, მაგრამ, მისი დაპირების და ჩემი დიდი მცდელობის მიუხედავად, უკვე მესამე წელია, აუდენციას ვერაფრით ვაღწევ.

და ბოლოს, დასკვნის სახით, მინდა კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ დაშვებული შეცდომების გონივრული განსჯითა და გათვალისწინებით, მათი ახლებურად დანახვით და სიმართლის აღიარებითაა შესაძლებელი აფხაზეთისკენ მიმავალი გზებისა და ხიდების აღდგენა და მათზე გავლა. მხოლოდ სიმართლის აღიარებით და მონანიებით შეიძლება მივუახლოვდეთ პრობლემას და მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას აფხაზების წარმომადგენლებთან ერთად. აფხაზეთის პრობლემების მოგვარება უნდა დავიწყოთ ეთნიკური აფხაზების შემობრუნებით და მათი შემორიგებით! აფხაზეთის ერთიან ქართულ-აფხაზურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა შესაძლებელია მხოლოდ აფხაზ ხალხთან ნდობის აღდგენით, მათი ნებითა და მათთან თანამშრომლობით! სხვა გზა არარეალურია – სხვა გზა ჩახერგილია!

ასეთია ჩემი ხედვა, მიდგომა და გამოცდილება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში. შეიძლება აქ ბევრი რამ საკამათო და მიუღებელი იყოს ფსევდო და ურა-პატრიოტებისთვის, მაგრამ მიმაჩნდა და დღესაც ვთვლი, რომ არსებულ პრობლემებს მოაგვარებს მხოლოდ დაშვებული შეცდომების აღიარება, მათი გონივრული ანალიზი, პერსპექტივის ახლებურად დანახვა და გააზრება. საღი აზროვნება და გონივრული კომპრომისი პრობლემების მოგვარების ერთადერთი სწორი გზაა!

**ნაპო მესხია,**
**აკადემიკოსი**

# ზვიად ყუშიტაშვილი: ბატონო ლეონიდ! არ მჯერა თქვენი და მაქვს უფლება ეჭვი შევიტანო თქვენში!



არასამთავრობო ორგანიზაციის **"ქართველი ემიგრანტები"** თავმჯდომარე ზვიად ყუშიტაშვილი პარტია **"ბედნიერი საქართველოს"** ლიდერს ლეონიდ ჩერნოვეცკის საჯაროდ მიმართავს:

**– "ბატონო ლეონიდ, "საპასუხო პოსტით" თქვენ უკვე შემოხვედით ჩემთან დისკუსიაში. მთავარი ის კი არ არის, თქვენ ჩემთან სასაუბროდ მოიცლით თუ არა, გაცილებით მნიშვნელოვანია ქართულ პოლიტიკაში შემოსვლისა და "ბედნიერი საქართველოს" შექმნის პრეტენზიის მქონე პერსონა დისკუსიაში შევიდეს, ღიად ელაპარაკოს ხალხს. მე, როგორც ჩემი ქვეყნის მოქალაქე და არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მივესალმები და მიხარია თუნდაც სამი ადამიანის ნაზრევის თქვენს მიერ შეფასება-დაფასება-ანაზღაურება, რამაც იმედი მაქვს გააუმჯობესა მათი სოციალური სტატუსი და გაზარდა მათი აქტივობის მოტივაცია. მე გამაოგნა და აღმაშფოთა თქვენს მიერ თქვენმა "სწორმა მარკეტინგულმა გათვლამ" – იმისთვის, რომ შექმნათ წინასაარჩევნო პლატფორმა და პროგრამა პრაქტიკულად ჩაატარეთ ფართომაშტაბიანი ბრეინსტორმინგი, აქ აღარაფერს ვამბობ და არ განვიხილავ კონკურსის თქვენს მიერ შემოთავაზებულ, უფრო სწორად სრულებით ბუნდოვან წესსა და წარმოდგენილი წინადადებების შერჩევის კრიტერიუმებს.**

**ბატონო ლეონიდ! მე, როგორც, ჩვენი ქვეყნის ერთი მოქალაქე ღიად გიცხადებთ, რომ არ მჯერა თქვენი, არ მჯერა თქვენი გულწრფელობის და მაქვს უფლება ეჭვი შევიტანო თქვენს საქართველოს სიყვარულში, ის, რომ 5 წლის წინ დასახლდით საქართველოში, გაქვთ ფეშენებელური ბინა, რომელსაც თქვენივე განმარტებით დიდძალი თანხა დახარჯეთ, სრულებითაც არ ნიშნავს ამ ქვეყნის სიყვარულის გამოხატულებას. თუკი თქვენ გვეჯიბრებით საქართველოს სიყვარულში, თანაც აცხადებთ, რომ ჩვენზე (მათ შორის იგულისხმებიან ის ადამიანებიც, რომლებიც იბრძოდნენ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის) უკეთ იცნობთ საქართველოს და მისი მოსახლეობის პრობლემებს, ნუთუ ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარლამენტის მანდატს? ახლა რა გიშლით ხელს, რომ საქმით დაამტკიცოთ საქართველოს სიყვარული და განახორციელოთ ისეთი ფართომასშტაბიანი პროექტები და პროგრამები, რაც შეამსუბუქებს და გაუმჯობესებს ჩვენი თანამემამულეების მდგომარეობას. ამავ დროულად მინდა გკითხოთ, მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიაში შემოსვლას არ აპირებთ, "ბედნიერი საქართველოს" აშენებას, რომ გვპირდებით, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებზე, თუნდაც ერთ რომელიმე ფაქტზე, რაც საზოგადოებას აღელვებს, გამოხატეთ თქვენი პოზიცია?! და საერთოდ, რა იდეოლოგიის მატარებელი ბრძანდებით? კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, ბატონო ლეონიდ, ნუ მოიცლით ჩემთვის, ნუ შემოხვალთ დისკუსიაში, ელაპარაკეთ ხალხს. თქვენ ახლავე უარს აცხადებთ მოუცლელობის მიზეზით ღია დიალოგებსა და დისკუსიაზე, პარლამენტის იმუნიტეტს რომ მიიღებთ, მერე მოიცლით ვითომ?!.**

**და კიდევ, ჩვენი დიასპორა მრავალ ქვეყანაშია, ბევრი მათგანისთვის ის ქვეყანა, სადაც ცხოვრობს – მეორე სამშობლოა. ყველა ადამიანის კეთილი ზრახვა მისასალმებელია, მთავარია გაცხადებული ზრახვის მიღმა არ იმალებოდეს სხვა, მიუღებელი სურვილები!!!"**

*"ილორის" საფუძვლიანი ეჭვი – ეს აზრი არაერთგზის გაჟღერდა მასმედიაში და, დღევანდელი პოლიტიკურ ძალთა განლაგებიდან გამომდინარე, მას აქვს არსებობის უფლება. კერძოდ – ქალაქ კიევის ყოფილი მერი, ეთნიკური უკრაინელი ლეონიდ ჩერნოვეცკი და უკრაინაში გადახვეწილი სისხლის სამართლის დამნაშავე მიხეილ სააკიანცი ერთი საიდუმლო მასონური ორგანიზაციის წევრები არიან და თუ ჩერნოვეცკი საქართველოს პარლამენტში გაიყვანს თავისი გუნდის წევრებს, იგი ნაციონალური მოძრაობისა და სააკიანცის ლატენტური (ფარული) მხარდამჭერი იქნება და დაეხმარება ნაცდაშნაკებს საქართველოს დანგრევის გლობალური გეგმების განხორციელებაში!*

*ამიტომ გვმართებს ქართველებს პოლიტიკური სიფხიზლე!*

# როგორ გაჩნდა ქალაქში "სამინისტროს წამალი"?! – სამართალდამცავთა მიერ მოპარული ჰეროინის საქმის უცნობი დეტალები




*ახალციხის გახმაურებული სპეცოპერაციის დღემდე უცნობი დეტალები*

***"აზერბაიჯანი და საქართველო მნიშვნელოვანი ნარკოტრანზიტორები არიან". – აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშიდან, 2012 წ.***

2013 წლის 3 ივლისს სამართალდამცავებმა ახალციხეში ტრაილერი გააჩერეს, რომელიც სომხეთიდან ნინოწმინდის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით შემოვიდა და, სავარაუდოდ, თურქეთში მიემართებოდა. ტრაილერს თურქი ეროვნების მძღოლი ადნან სიოსალი მართავდა, მას თან ახლდა ბულგარეთის მოქალაქე სემიონ ბალანი, ტრაილერს კი მოლდავეთის სახელმწიფო ნომრები ჰქონდა. რამდენიმე საათის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ ამოიღეს 116 კგ ჰეროინი, რომელიც 232 ე.წ. **"ფილად"** იყო დანაწილებული. ამ რაოდენობის ჰეროინი ამოიღეს არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მთელ კავკასიაში.

ახალციხის სპეცოპერაცია თითქოს ნიშანი გახდა იმისა, რომ ახალი ხელისუფლება საერთაშორისო ნარკომაფიასთან თანამშრომლობას არ აპირებდა და საქართველოზე გამავალ ნარკოსატრანზიტო მარშრუტებზე კონტროლის დაწესებას ცდილობდა. საზოგადოება დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს **"ჰეროინის საქმის"** გამოძიებას, რათა გარკვეულიყო, ვინ იყო ტვირთის მიმღები და ვინ მფარველობდა ტრაილერის უსაფრთხო გადაადგილებას საქართველოს ტერიტორიაზე. იყო კითხვებიც – როგორ მოახერხა შსს-მ ნარკოტიკით დატვირთული ტრაილერის გადაადგილებაზე ინფორმაციის მოპოვება, ხომ არ იყო ახალციხის სპეცოპერაცია კონტროლირებადი (როდესაც სპეცსამსახურები საწყისი წერტილიდანვე ადევნებენ თვალს უკანონო ტვირთის მოძრაობას და ხელსაყრელ მომენტს ელოდებიან მის დასაკავებლად)?

შსს კიდევ დიდხანს იწონებდა თავს ამ საქმით, ვიდრე... ოქტომბრის დასაწყისში ნარკოტიკების მომხმარებლებში ხმა გავრცელდა, რომ ქალაქში **"სამინისტროს წამალი"** იშოვებოდა (ნარკოტიკების მომხმარებლები **"სამინისტროს წამალს"** უწოდებდნენ პოლიციის მიერ უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ ნარკოტიკს, რომელიც განადგურების სანაცვლოდ ადგილობრივ ნარკობაზარზე მოხვდა). **"სამინისტროს წამალი"** გამოირჩეოდა ხარისხით და უფრო ხელმისაწვდომიც იყო...

2013 წლის 30 ოქტომბერს სამართალდამცავებმა დააკავეს პოლიციელი გოგიბედაშვილი, რომელმაც დაადასტურა, რომ ადგილობრივ ნარკობაზარზე გავრცელებული ნარკოტიკი ახალციხეში ამოღებული ჰეროინი იყო(?!). მედიით გავრცელებულ ამ ინფორმაციაზე შსს განმარტებას კარგა ხანს არ აკეთებდა... მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ საქმეში ჩართული იყვნენ პოლიციის მაღალჩინოსნები, მოპარული ჰეროინის რაოდენობა კი 12 კგ-ს შეადგენდა...

გოჩა ჩათალაშვილი, გიორგი ბეჟანიშვილი და ბექა ქებაძე (ეს უკანასკნელი ახალციხის სპეცოპერაციის დროს კრიმინალური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გახლდათ) 2014 წელს დააკავეს. სარეალიზაციოდ გამზადებული ჰეროინი კი კასპში, კასრში აღმოაჩინეს. გავრცელდა ვერსია, თითქოს ნარკოტიკი საცავიდან მოიპარეს, არადა, იმ საცავიდან, სადაც ახალციხეში ამოღებული ნარკოტიკი ინახებოდა, მისი მოპარვა შეუძლებელი იყო – საცავს სპეცჯგუფი იცავდა. ცხადი გახდა, რომ ჰეროინი ახალციხეშივე მოიპარეს, თუმცა როგორ, ეს უცნობი იყო...

გოჩა ჩათალაშვილსა და ბექა ქებაძეს 20-20 წელი, გიორგი ბეჟანიშვილს კი 18 წელი მიუსაჯეს. როგორც ამბობენ, სწორედ **"ჰეროინის საქმეს"** შეეწირა შს მინისტრის პირველი მოადგილის, ალექსანდრე ტაბატაძის სავარძელი (საინტერესოა, რომ ტაბატაძე შსს-ს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს უკანასკნელი ხელმძღვანელი იყო, **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ ბიურო გააუქმეს). მიუხედავად მაღალი ინტერესისა, ამ საქმეში ბევრი რამ გაურკვეველი დარჩა...

რამდენიმე ხნის წინ **"კვირის პალიტრისთვის"** ცნობილი გახდა **"ჰეროინის საქმის"** საინტერესო დეტალები. ერთ-ერთი ვერსიით, ახალციხის სპეცოპერაცია კონტროლირებადი იყო, ტვირთის გადაადგილებას თურქეთის სპეცსამსახურები ადევნებდნენ თვალს, ჩვენს შს სამინისტროსაც სწორედ მათ მიაწოდეს ინფორმაცია და, საქართველოს საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ, მისი შეჩერება მოითხოვეს. ამ ოპერაციისთვის სამართალდამცავები საგანგებოდ მოემზადნენ და ის უმაღლეს დონეზე ჩატარდა. თუმცა, თავდაპირველად, როცა ტრაილერი გაჩხრიკეს, ვერაფერი ნახეს. ბოლოს, მისი სახურავი გაჭრეს და საგანგებო სამალავში ნარკოტიკი აღმოაჩინეს. მის ამოღებას ორი პოლიციელი ესწრებოდა, სწორედ ისინი აწვდიდნენ ტრაილერის სახურავიდან თანამშრომლებს ჰეროინის **"პლიტკებს"**, ნარკოტიკის მოპარვის იდეაც, სავარაუდოდ, მაშინ გაჩნდა... ამ ვერსიის მიხედვით, 232 ცალი **"პლიტკის"** ამოღების შემდეგ ტრაილერის სახურავზე მყოფმა პოლიციელებმა განაცხადეს, მეტი აღარ არისო და ჩამოვიდნენ. სამართალდამცავებს კი აზრადაც არ მოსვლიათ, სახურავის შიგთავსი გადაემოწმებინათ. ამოღებული ნარკოტიკი დათვალეს, მანქანაში ჩააწყვეს და დაცვის თანხლებით თბილისში ჩამოიტანეს. სახურავზე მყოფი პოლიციელები კი დაკავებულ ტრაილერს მიაცილებდნენ, რომლის სახურავშიც 12 კგ ჰეროინი იყო დარჩენილი.

სპეცოპერაციისას ამოღებული ჰეროინი საცავში გადაიტანეს, ტრაილერი კი სადგომზე მიაცილეს, საიდანაც პოლიციელებმა დარჩენილი ნარკოტიკული ნივთიერება ღამით ამოიღეს. მოპარული ჰეროინი დროებით კასპში შეინახეს, რათა მოგვიანებით თურქეთში გაეტანათ. ეს ამბავი შესაძლოა, დღემდე არ გახმაურებულიყო, რომ არა გოგიბედაშვილი, რომელმაც, ვალების გამო, სხვებთან შეუთანხმებლად გადაწყვიტა, ცოტ-ცოტა გაეყიდა...

## კონტროლირებადი ოპერაცია

ნარკოტიკული ნივთიერების პირველი კონტროლირებადი მიწოდების ოპერაცია 1995 წელს განხორციელდა, როდესაც ნარკოტიკით დატვირთულმა ტრაილერმა საქართველოს ტერიტორია უსაფრთხოდ გაიარა და თურქეთში ჩავიდა. ტვირთის მოძრაობას ამერიკული სპეცსამსახურები თანამგზავრით ადევნებდნენ თვალს და ის უკვე თურქეთში გააჩერეს. ტვირთის გადაადგილების შესახებ საქართველოს ხელისუფლებამ არაფერი იცოდა და ტრაილერის გაჩერება აზრადაც არავის მოსვლია, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ე.წ. გაიშნიკები იდგნენ. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ გაიგო მსოფლიომ, რომ ყველაზე უსაფრთხო ნარკოსატრანზიტო მარშრუტები საქართველოზე გადიოდა. მას შემდეგ საქართველოში რამდენიმე ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ჩვენში ნარკოტრანზიტი დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება.

## "ალაჰის ცრემლები"

2014 წლის 18 ივნისს სომეხმა სამართალდამცავებმა სომხეთის საზღვარზე, ტრაილერის შემოწმებისას, 900 კგ ჰეროინი აღმოაჩინეს. ტრაილერი, რომელსაც ქართველი მძღოლი მართავდა, ირანიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთში მიდიოდა. 2 თვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ 78 კგ ჰეროინი (15 მლნ დოლარის ღირებულების) სადღაც გაქრა...

2014 წლის თებერვალში კვლავ ახალციხის ტერიტორიაზე სამართალდამცავებმა გააჩერეს ტრაილერი, სადაც 2 ტონა და 790 კილოგრამი ამჯერად კასრებში შენახული ე.წ. თხევადი ჰეროინი იყო (მსოფლიოში ის **"ალაჰის ცრემლების"** სახელით არის ცნობილი). ტვირთი, სავარაუდოდ, ავღანური წარმოშობისა გახლდათ.

**ნინო ბურჭულაძე**

# რა სიკეთეები მოაქვს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს

*"ცოდვამ მოგვიცვა, ნათელსა გარს*
*მოეხვია ბნელია*
*ხელში ნაჭერი კეთილი შეგვექნა საძებარია".*

დ. გურამიშვილი

სათაურში გამოტანილი ფრაზა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გ. კვირიკაშვილს ეკუთვნის, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ამ პროცესთან დაკავშირებულ **"სიკეთეებზე"**. ერთ-ერთი ასეთი **"სიკეთის"** შედეგად, მოძრაობა **"ეროვნულების"** ლიდერი და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ს. ბრეგაძე თანამდებობიდან გადადგა, რადგან საკუთარ პრინციპებზე უარის თქმას აიძულებდნენ, რაც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ეწინააღმდეგებოდა. ასეთი პარლამენტარი მხოლოდ შვიდი აღმოჩნდა, რომელთა შორის არც ს. ჯაჭვლიანია, არც მეჭიაური, არც ყველაზე მძიმე წონის **„ეროვნული"** – გ. სანიკიძე. როცა მათ შესახებ ბატონ სანდროს სატელეფონო საუბრისას ვკითხე, ასე მიპასუხა: – არ ვიცი, ალბათ შეეშინდათ ...ვფიქრობ, ბატონი სანდრო შეცდა, რომ განთავისუფლების შესახებ განცხადება თავად დაწერა და ეს ბრძანება პრემიერისგან და სახელმწიფო მინისტრისგან არ წამოვიდა, რადგან ამ შემთხვევაში მთლიანად გაშიშვლდებოდა ის პოლიტიკა და იდეოლოგია, რითაც **„ოცნებისტები"** იმართებიან. გაშიშვლდნენ იდეოლოგიურად ის პარლამენტარებიც, რომელნიც შეშინდნენ. ისმის კითხვა,– რისი შეეშინდათ? მე-18 საუკუნის ქართველი დიდაქტიკოსი დ. გურამიშვილი შეშინებულ ქართველებს ასე ახასიათებს:

***"დადედლებულნი შიშთაგან ვეღარ ვარგოდნენ მამლადა,***
***აღარვინ დარჩა პატრონად, ფარსაგი ქვეყნის მამვლადა."***

ქართველთა შიში იმ პერიოდისათვის მტრის ალესილი ხმლის წინაშე სიკვდილის შიშით იყო გამოწვეული და მრავალჭირგამოვლილი ქართველი დიდაქტიკოსი ვერასდროს წარმოიდგენდა რომ, 21-ე საუკუნეში ქართველი კაცი ისე დადედლდებოდა რომ თანამდებობის და მსუყე შემოსავლის დაკარგვის შიშით გაშიშვლდებოდა და არა მარტო სულიერად... ქართულ ტრადიციას, ზნეობას და მორალს საფრთხეს შეუქმნიდა. ქართულმა ეროვნულმა ღირებულებებმა საუკუნეები გამოიარა და ყოველი ტრადიცია ღირებულების მატარებელია. ჩვენი ზნეობრივი კოდექსი იმ ნორმებს ვერასდროს უპასუხებს, რომელსაც ევროპა-ამერიკა თავს გვახვევს, – ეს ფსიქიკაზე ძალადობაა. რითი მოგვხიბლა დასავლეთმა? – გოეთეს, შექსპირის, ბაირონის თუ სხვა მოღვაწეთა სიღრმისეული სამყაროთი, მაგრამ, ამავე დროს ამაზრზენი იყო ინკვიზიციები, რაც თანმდევი გახლდათ ევროპული პოლიტიკისა და ეს პოლიტიკა დღესაც ამაზრზენია და საძულველი, რადგან ის ამერიკული პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად არის ქცეული. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ლორდი ბაირონი სწორედ იმ იდეოლოგიას და ცხოვრების წესს გაემიჯნა, რომელიც მის ქვეყანაში იყო გამეფებული, სამშობლო დატოვა, საბერძნეთის აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა და იქვე ჰპოვა აღსასრული. მისი სულიერი განცდები მის ლექსებშია ასახული:

***"არავითარი საფრთხე არ მაკრთობს და არ მივტირი სიამის წამებს,***
***დარდით ის მავსებს, ისეთს არას ვთმობ ობოლ ცრემლადაც მიღირდეს რამე".***
**("ჩაილდ-ჰაროლდის დამშვიდობება")**

თუ დასავლეთის სოციალური ფონით ვიხიბლებით უნდა გავიაზროთ, რომ მას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ არანაირი ვალდებულება არ აულია და 25 წლიანი ნგრევის შედეგად ჩვენ ეკონომიურად, სულიერად, მორალურად განადგურებული საქართველო მივიღეთ. ევროკავშირი ჩვენნაირი ქვეყნების გაღატაკების ფონზე იკრებს ძალებს და მდიდრდება. დღეს ამ ქვეყნებს არ მართავს შექსპირისა და ბაირონის იდეოლოგია, მას მსოფლიოს ჟანდარმის იმპერიალისტური პოლიტიკა მართავს. ეს უნდა გავმიჯნოთ და გავავლოთ პარალელი რუსეთის პოლიტიკასთან. განათლებულ და მოაზროვნე ქართველ საზოგადოებას დასავლეთის მწერალთა თუ პოეტთა მსგავსად უზომოდ უყვარს რუსი პოეტები თუ მწერლები: ესენინი, პუშკინი თუ ტოლსტოი, მაგრამ არ სძულს რუსეთის პოლიტიკა, რადგან ის ზნეობრივ პრინციპებზეა აგებული. – ეს ის რუსეთი არ არის, რომელიც შენ გახსოვს, მიპირისპირდება უმადური ოპონენტი, რომელმაც პენსიაც კი მოსკოვში დაინიშნა. – დიახ, ეს სოციალისტური რუსეთი აღარ არის, ის სოციალიზმისა და სტალინის მტრებმა დაანგრიეს. ეს ფენიქსივით ფერფლიდან აღმდგარი კაპიტალისტური რუსეთია, მაგრამ ზნეობითა და მართლმადიდებლობის გადარჩენისათვის მებრძოლი მთელს მსოფლიოში! ეს ის რუსეთია, რომელთან ურთიერთობაში უფრო მეტი დადებითი იყო ვიდრე უარყოფითი, ხოლო ამერიკასთან 25-წლიანმა მეგობრობამ ქვეყანა სამ ნაწილად გახლიჩა. დღეს ამერიკას ომი სჭირდება ახალი სისხლის გადასასხმელად, რათა ეს ურჩხული კვლავ ზესახელმწიფოს რანგში აკონტროლებდეს მსოფლიოს. რუსეთის ტერიტორიაზე მსოფლიოს წიაღისეულის თითქმის ნახევარია მოქცეული და ყველაზე მსუყე ლუკმაა ამერიკისთვის, ამიტომაც ყველანაირ საშუალებას იყენებს მის დასანგრევად. ამერიკის საგარეო ვალი 19 ტრილიონია, ხოლო, საშინაო ვალებთან ერთად 65 ტრილიონია. საქართველოს საგარეო ვალი, რომელიც ვარდების რევოლუციამდე 2 მილიარდ 125 მილიონი იყო, დღეისათვის 14 მილიარდია – ესეც დასავლეთის **"საჩუქარია"**! ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, კაპიტალისტური სისტემის კრიზისია, ამ კრიზისს ებრძვიან რუსეთშიც იმ განსხვავებით, რომ კორუფცია სამართლებრივ ჩარჩოებში არ არის მოქცეული, როგორც ამერიკაში. რუსეთის კომ. პარტიის ლიდერმა – ზიუგანოვმა სახალხო ნდობის მთავრობის ჩამოყალიბება და ახალი სოციალიზმის მშენებლობა დააანონსა.

ყველაზე **„მზრუნველი"** ამერიკა ლუგარის ლაბორატორიაზე ყოველწლიურად 12 მილიონს ხარჯავს. ეს ლაბორატორია აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის უნივერსიტეტთან, რომელსაც სამხედრო პროფილი აქვს. როგორც ერთ-ერთმა სამედიცინო დარგის ავტორიტეტმა გამიმხილა, ცხოველის და ფრინველის გრიპის ვირუსი, თუ ის ხელოვნურად შექმნილი არ არის, ადამიანზე არ გადადის. წლევანდელი გრიპის ვირუსი თავისი აგრესიულობით ბიოლოგიური იარაღის შთაბეჭდილებას ტოვებს და მის ხელოვნურ წარმომავლობაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, არც ჩვენს ხელისუფლებას ადარდებს საკუთარი ხალხი. აი, კიდევ ერთი **"სიკეთე"** დასავლეთიდან. დღეს დეგრადირებული, ადამიანურ საწყისებს მოწყვეტილი და ბუნების წინააღმდეგ მიმართული მანიაკალური ფსიქიკის მქონე უცხო ძალები განკარგავენ საქართველოს, ამიტომ უნდა გავაანალიზოთ – რუსეთთან მეგობრობა თუ მომავალში ისლამური სახელმწიფოს დიქტატით ცხოვრება? ევროპა თავისივე შემოგდებული ე.წ. ტოლერანტობის მსხვერპლია, რადგან მიგრანტები, არაქრისტიანული სამყაროს წარმომადგენლები ჩაანაცვლებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ანალოგიური საფრთხის წინაშე დადგა დღეს საქართველო სულგაყიდული ხელისუფლების ხელში, რომელმაც გადაწყვეტილება მიიღო სირიიდან და ერაყიდან ომის შედეგად დევნილი 235 ათასი მიგრანტი შეიფაროს. ამის საზღაურად კი ხელისუფლება 147 მილიონს მიიღებს. ძნელი წარმოსადგენი არ არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ეს ნაბიჯი რა შედეგებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. ხელისუფლებამ თანხმობა განუცხადა დასავლეთს შეიფაროს ის ძალები, რომელსაც რუსეთი ებრძვის სირიაში და არავინ იცის რამდენი ტერორისტი შემოჰყვება ამ მასას საქართველოში. ესეც ერთ-ერთი ფაქტორია დასავლეთის მიერ დაგეგმილი რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებისა, რაც დასავლეთის **"მეგობრობას"** თვალნათლივ წარმოაჩენს. თავად დასავლური სიბრძნე კი გვასწავლის: **"ჩვენს მტერთა შორის ყველაზე საშიში მტერი ის არის, ვინც გვიჩვენებს ვითომ ჩვენთვის იღწვის"** – (ნიკოლა ლემერი, ფრანგი მეცნიერი, მე-19ს.) – საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით აფხაზეთისა და ცხინვალის სახელისუფლო წარმომადგენლობა ვერ მოიხიბლა ევროკავშირით. არც რუსეთი დაუშვებს, რომ შავი ზღვის სანაპირო და რუსეთის საზღვარი ამერიკამ აკონტროლოს. რუსეთის გაღიზიანება ბათუმის პორტში ნატო-ს 4 გემის შესვლამაც გამოიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, ანაკლიაში ამერიკელები დიდ სამხედრო-საზღვაო პორტს აშენებენ, რაც შავი ზღვის სანაპიროს გაკონტროლების საშუალებას აძლევს. ამის შემდეგ რა პოზიტივს ელის საქათველო რუსეთისაგან? საქართველო მუდამ ლავირებდაო – გვმოძღვრავენ მედასავლეთე ძალები. მართალია ლავირებდა, მაგრამ მუსულმანურ ქვეყნებს შორის, რათა გადაერჩინა ქრისტიანობა და ზნეობა, მაგრამ ის დროც გავიხსენოთ, როცა ლავირება არ სჭირდებოდა და მშვიდად ვითარდებოდა ყველა მიმართულებით. თუკი ამჟამად ლავირებს საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის რომელი ინტერესის დაცვით ხდება ეს? პასუხი ერთმნიშვნელოვანია – არანაირი! მეტიც, ხელისუფლების მიერ თავისი უღიმღამო არსებობის გასახანგრძლივებლად სხვადასხვა საერთაშორისო მისიებში გაგზავნილი ჯარისკაცებიდან 36 ქართველი ვაჟკაცი დავკარგეთ. ნაცვლად იმისა, რომ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თავდაცვის უნარიანობა გაზარდოს, ევროპულ კონიუნქტურას აყოლია და დანაშაულებრივი სისტემის ლობირებასთან ერთად დასავლეთის მიერ რუსეთის იმიჯის მარგინალიზაციას უწყობს ხელს. რუსულ პოლიტიკასთან დასაპირისპირებლად ამერიკამ 4 მილიარდ 300 მილიონი დოლარი გამოჰყო. ყველა პროექტი, მათ შორის მტკნარი წყლის, ასევე ქვეყანაში შემოსული თანხები დასავლეთის სპეც. სამსახურების განკარგულებაშია, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა კი არა, რუსეთთან დაპირისპირება აინტერესებთ. – **"მე მოვკლავდი 10 ათასობით რუსს!"** – არ მალავს თავის განწყობას ინგლისელი პოლიტიკოსი. ცხადია, იგივეს გაიმეორებს რუსეთის ნებისმიერი მოქალაქე და ამ სისასტიკეს არა მარტო სამხედრო ძალას, არამედ იმ პატრიოტიზმსაც დაუპირისპირებს, რომელმაც თავის დროზე სტალინის მეთაურობით ერთ მძლავრ ბირთვად აქცია რუსი ერი. პუტინს შესწევს ძალა, რომ ქრისტიანული რუსეთიც დაიცვას და სტალინის გენიაც. არსებობს გენიალური თეზა: **"რუსი ომს არ იწყებს, ის ომს ამთავრებს და ამთავრებს გამარჯვებით"**. ქართველმა ერმა უნდა დაინახოს ჭეშმარიტება და ჩასწვდეს იმ რეალობას, რომ გამუსულმანებაზე მეტი საფრთხე, რომლისგანაც თავის დროზე რუსეთმა გვიხსნა, დეგრადირებული, უზნეო, ე. წ. ქრისტიანული სამყაროს შემოჭრამ მოგვიტანა კავკასიაში ევროკავშირისა და ამერიკის სახით. მუსულმანური სამყარო კაცური ღირსების დეფიციტს არ განიცდის და ვერავინ გაუბედავს მათ არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებზე საუბარსაც კი. ამიტომაც მოუწყვეს გერმანელებსა და ფრანგებს სექსუალური გაკვეთილები ქუჩებში.

**"ფული და პრივილეგირებული მდგომარეობა"** – აი, იმ ხელისუფლების საზრუნავი, რომელიც მეტასტაზირებული იდეოლოგიის აპოლოგეტებად მოგვევლინნენ. მედასავლეთეებმა რუსული ფილმებიც კი რუსულ პროპაგანდად მიიჩნიეს. ამ ლოგიკით თურქული ფილმებით მუსულმანური ცხოვრების წესის პროპაგანდას ხომ არ ვეწევით? დემორალიზაცია ხდება არამდგრადი იდეოლოგიის მქონე ადამიანებისა და უმეტესად ახალგაზრდებისა, რაც სამომავლოდ ქვეყნის იდეოლოგიას საფრთხეს უქმნის. ამერიკელები არაერთ უზნეობასთან ერთად სატანის დღესასწაულებსაც აღნიშნავენ და სატანისტურ მსხვერპლშეწირვას ახორციელებენ მამრობითი სქესის ახალშობილის დაკვლით. ამ ეკლესიის წარმომადგენლობა კი აღნიშნავს, რომ მათი რიტუალები ამერიკის კანონმდებლობის სრული დაცვით ტარდება. ევროპული ინკვიზიციებით დაწყებული, როცა კოცონზე აშიშხინებული ცოცხალი ხორცის სუნით ტკბებოდნენ, ნათლობაზე აკრძალვების დაწესებით, როგორც ბავშვის ინტერესებთან შეუთავსებელი, სატანისტურ ორგიებთან ერთად კანიბალიზმისკენ გადადგმული ნაბიჯია და რომელ ადამიანთა უფლებებზე საუბრობენ ეს ერთუჯრედიანები? ისინი მხოლოდ საყოველთაო ზიზღსა და სიძულვილს იმსახურებენ! მიმიფურთხებია მათთვის!

ქვეყანაში, რომელიც სამ ნაწილად არის დაშლილი წამოწეულია იაფფასიანი იდეოლოგია, რითაც გადაფარულია ჭეშმარიტი ღირებულებები. სიბილწის ორიგინალური გამოვლინებით ეჯიბრებიან ერთმანეთს გაურკვეველი იდეოლოგიის მქონე არსებები – ვინ უფრო გააოცებს საზოგადოებას. ქართველი ერის ფსიქიკური მდგომარეობა საგანგაშოა, როცა კაცობრიობა მე-3 მსოფლიო ომის ზღვარზეა ბნელი ძალები ქრისტიანობასა და მართმადიდებლობას ებრძვიან, ოლიგარქი ხეების დასაკუთრებით ერთობა. იგი უხერხულობას არ გრძნობს უბოროტესი ძალის – **"რესპების"** ხელისუფლებაში მოყვანით. მეტიც, ხიდაშელის გამინისტრება ჩვენს ევროპელობას უსვამს ხაზს – აცხადებს ექსპრემიერი. რასთან გვაქვს საქმე, ქართველი ხალხის მიმართ მარგველაშვილისეული დიაგნოზით ხომ არ ხელმძღვანელობს ჩვენი მხსნელი?

ამასწინათ ერთმა ბიზნესმენმა **"ოცნებისტ"** ჭარმაგ დეპუტატთან ნაცნობობა ასე გამოხატა: კარგი მოქეიფე, კარგი პურისმჭამელი და ქალების მოყვარული კაციაო. თუ ქალის სიყვარული მხოლოდ ვიზუალური არ არის, ხომ ავშენებულვართ ქართველები! აი ჩვენი ღირებულებათა სკივრი, რომელიც ეროვნული, პატრიოტული იდეოლოგიის დეფიციტს განიცდის და კუჭზე და სასქესო ორგანოზეა მორგებული. აქვე აღვნიშნავ, რომ **„ღირებულებებით დახუნძლული"** არსება იმ შვიდეულში არ ფიგურირებს, რომელნიც ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას ეწინააღმდეგებიან.

დღევანდელ საქართველოში ცხოვრების მაღალი დონით ამერიკელთა მიერ დაპურებული ხელისუფლება, ოპოზიცია და **"ასო"**-ები გამოირჩევიან. ამიტომაც უნდათ მუდმივად იტივტივონ ლიბერალურ-პოლიტიკურ წუმპეში, რატომაც არა? – მსუყე დაფინანსება და არანაირი პასუხისმგებლობა, არც არასასურველი დეპუტატის გაწვევის მექანიზმი.

1937 წელს კონსტიტუციაში სტალინის მიერ დაფიქსირდა დეპუტატის გაწვევის უფლება. იგი სიტყვით გამოვიდა მოსკოვში თავის საარჩევნო უბანზე და ამომრჩევლებს მოუწოდა: – **"თუ დეპუტატი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს, შეგიძლიათ გამოიწვიოთ და ყორანივით გააშავოთ"** – ეს სახელმწიფოებრივი ხედვის მქონე მსოფლიო დონის გენიოსის სიტყვებია!

ვუერთდები ბატონ გ. თოფაძის ინიციატივას სტალინის სურათთან დაკავშირებით. ჩემი აივნის კედელზე ქალაქის ცენტრალურ უბანში სტალინის დიდ სურათს იხილავთ, რისთვისაც მადლობას ვუხდი ბატონ გრიგოლ ონიანს! ლიბერასტებო დატკბით!

**იზა თამაზაშვილი**

**P.S.** *იდეოლოგია, რომელიც თავად ხელისუფლებამ მიაწოდა საზოგადოებას, ხალხმა ანეკდოტების სახით შემოინახა: ახალგაზრდები ხუთჯვრიანი დროშით ხელში ქუჩაში შეძახილებით მოდიან: "მე ლიბერალი ვარ"! ასევე შეძახილებით უერთდებიან მათ შემხვედრი ახალგაზრდებიც.*

*– მე სტალინელი ვარ! – მოესმათ ლიბერალებს მოულოდნელად და შეცბუნებულებმა შეუტიეს: როგორ, ჩვენ ყველანი ლიბერალები ვართ და შენ სტალინელი რატომ ხარ?!*

*– ჩემი მშობლები სტალინელები არიან და მეც სტალინელი ვარ, აი დედა რომ ბოზი მყოლოდა და მამა პედერასტი – მეც ლიბერალი ვიქნებოდი!* – იყო პასუხი.

# “ეს არ ჰგავდა დამსახურებული ადამიანის გაცილებას! სად იყავი დღეს, ქართულო კინო?...” – ნანა მჭედლიძის დაკრძალვას ხონში “თითო-ოროლა სტუმარი” დაესწრო



გულსატკენია, რომ დიდი შემოქმედები მიდიან და მათი ცვლა არ მოსჩანს. არც გამოჩნდება, რადგან დიდი შემოქმედები იზრდებოდნენ შესაბამის გარემოში, სადაც ქალი ქალობდა, კაცი კაცობდა, მხცოვან ადამიანს კი ღირსეულ პატივს მიაგებენ.

დღეს, როცა პრაქტიკულად აღარ არსებობს ზნეობრივი, პარტრიოტული, მორალური და რელიგიური ორიენტირები, გამორიცხულია რომ საზოგადოებამ შვას გენიალური შემოქმედი.

ახლახან მიწას მივაბარეთ მსოფლიო კინოს პატრიარქი რეზო ჩხეიძე, რომლისთვისაც ადგილი არ მოიძებნა მთაწმინდის პანთეონში და დიდუბის პანთეონის მიყრუებულ კუთხეში მიუჩინეს სამარადჟამო სამყოფელი.

31 მარტს კი ხონში უკანასკნელ გზაზე გააცილეს ქართველი რეჟისორი ქალი ნანა მჭედლიძე.

სამწუხაროა, რომ დიდი კინორეჟისორი ბანოვანის დაკრძალვას ჭირისუფალთა მცირე რაოდენობა დაესწრო.

ჟურნალისტი და ფილოლოგი ნანული ცხვედიანი, რომელიც თავად ესწრებოდა სულგანათლებულ ნანა მჭედლიძის მოკრძალებული დაკრძალვის ცერემონიას, ემოციურ პოსტს წერს “ფეისბუქზე”:

“ეს-ესაა, ხონის მიწას მიაბარეს დიდი ქართველი ხელოვანი, საქართველოს სახალხო არტისტი, **“პირველი მერცხალისა”** და **“იმერული ესკიზების”** დამდგმელი რეჟისორი ნანა მჭედლიძე.

სიკვდილშიაც როგორი გენიალური აღმოჩნდა, როგორი მოკრძალებული და უპრეტენზიო! იწვა ხონის წმინდა გიორგის ტაძრის შუაგულში ეს პატარა დიდი ქალი და არც ჭირისუფალთა, არც გვირგვინთა სიმრავლით მოუჭრია თვალი ვინმესთვის, არც პატივგების განსაკუთრებული ფორმით. მის დაკრძალვაზე რომ ხალხი იყო (ძირითადად – ხონის ინტელიგენცია, ხელმძღვანელობა, ახალგაზრდობა, თითო-ოროლა სტუმარი), ზოგჯერ იმაზე გაცილებით მეტიც კი მინახავს რომელიმე პატარა სოფელში გამართულ სამგლოვიარო ცერემონიალზე. ეს არ ჰგავდა მრავალმხრივ დამსახურებული ადამიანის გაცილებას უკანასკნელ გზაზე!

გაოცებული ვარ – არც ერთი **“კინოვარსკვლავი”**, კულტურის სფეროს არც ერთი ცნობილი სახე არ გამოჩენილა, პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტარებს, მინისტრებს რომ თავი დავანებოთ! რესპუბლიკური არხებისათვის მომუშავე ქუთაისელმა ჟურნალისტებმა პარლამენტარ გია ჟორჟოლიანის მეტი ვერავინ მოძებნეს, რომ ჩაეწერათ, მხოლოდ ეს ადამიანი იყო ყველაზე ცნობილი სახე დღეს და კიდევ – იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე.

ნანა მჭედლიძე რომ ჭეშმარიტად სახალხო მოღვაწე იყო, დღესაც გამოჩნდა. ხალხი გამოეთხოვა უდიდესი გულწრფელობით, ხალხმა გააცილა უკანასკნელ გზაზე, ხალხი იხსენებდა დღეს მისი ფილმებიდან ეპიზოდებს... და სად იყავი დღეს, ქართულო კინო? სად იყავით, ნანა მჭედლიძის ფილმებში გადაღებულო მსახიობებო? სად იყავით, რეჟისორის კოლეგებო?”,– წერს პოსტში ცხვედიანი.

ნანა მჭედლიძე 29 მარტს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. 90 წლის იუბილე რეჟისორმა რამდენიმე დღის წინ აღნიშნა...

თუმცა, როცა მოგვიანებით ნანა მჭედლიძის შვილის განცხადება გამოქვეყნდა ინტერნეტპორტალზე, გაირკვა, რომ რეჟისორ ქალბატონთან დაკავშირებით სულ სხვა მოვლენასთან გვქონდა საქმე. მაგდა მჭედლიძე ფეისბუქის პირად გვერდზე დედის დაკრძალვასთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილის გამოხმაურებას პასუხობს და განცხადებას ავრცელებს.

**“დიდი მადლობა ყველას, ვინც პატივი მიაგო ნანა მჭედლიძეს ხონში დაკრძალვაზე დასწრებით. ჩემთვის გასაგებია მისი მოყვარული ადამიანების გულდაწყვეტა იმის გამო, რომ ამ დღეს რეჟისორის კოლეგები და საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანები ვერ იხილეს. მაგრამ მინდა ვთხოვო ყველას, ამის გამო ნურავის ვუსაყვედურებთ, რადგან მე თავად არ ჩამიყენებია საქმის კურსში საზოგადოება, ყველაფერი ქრისტიანული წესის შესაბამისად, მაგრამ ჩვენში დღესდღეობით დამკვიდრებული ჩვეულებებისაგან განსხვავებით, სწრაფად ჩატარდა და ადამიანებმა ასე მოკლე დროში თვითორგანიზება ვერ მოახერხეს.**

**ვიცი, რომ ბევრი ადამიანი იყო მოსული თბილისის სახლში სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენ ხონისაკენ მივემართებოდით. მჯერა, სხვა შემთხვევაში ყველას, ვინც ნანა მჭედლიძის თაყვანისმცემლებმა გულდაწყვეტით მოისაკლისეს, ხონში ვიხილავდით. სრულიად დარწმუნებული ვარ, ყველა შეწუხებულია მომხდარის გამო.**

**თავს ვალდებულად ვთვლი განვაცხადო, რომ თავად ნანა მჭედლიძის სურვილის შესაბამისად, ოფიციალურად არავისთვის არაფერი შემიტყობინებია. მიუხედავად ამისა, როგორც კი გარდაცვალების ამბავი ცნობილი გახდა, კულტურის სამინისტროდან დაგვიკავშირდნენ და მზაობა გამოთქვეს, ოჯახთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა დაკრძალვის ორგანიზებაში, რაზეც ჩვენ მადლობით უარი ვუთხარით. როგორც გადმომცეს, მერიას მიუმართავს დიდუბის პანთეონის დირექტორისათვის ადგილის გამოსაყოფად, მაგრამ საბოლოოდ ანგარიში გაეწია თავად ნანა მჭედლიძის სურვილს. მიუხედავად იმისა, რომ მე არ მიმიმართავს, მერიამ საკუთარი ინიციატივით მონაწილეობა მიიღო ტრანსპორტით ჩვენს უზრუნველყოფაში.**

**სახელმწიფომ ასევე მონაწილეობა მიიღო დაკრძალვაში ხონის გამგეობის როგორც ორგანიზაციული, ასევე ფინანსური მხარდაჭერის სახით (მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა). დიდი მადლობა მათ და თითოეულ ხონელს ყურადღებისათვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ხონის ეპარქიის ეპისკოპოსს, მეუფე საბას, რომელიც გახლდათ სულის ჩამდგმელი ხონის მთელი ღონისძიებისა. ასევე დიდი მადლობა ეპარქიის სამღვდელოებას ყურადღებისათვის, მონასტრის დედებს ჭირისუფლებისა და სტუმრების უაღრესად გულთბილი მასპინძლობისათვის.”** – წერს მაგდა მჭედლიძე.

## მოგონებანი გარდასულ დღეთა...



ეს ისტორია ამ ფოტოზე აღბეჭდილმა ცნობილმა მომღერალ-მუსიკოსმა და ერთობ კოლორიტურმა პიროვნებამ, ბატონმა გურიელ ჭითანავამ ჯერ კიდევ მაშინ მომიყვა, როცა ე. შევარდნაძის ბანდებისაგან დევნილი თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში საკუთარ ოჯახში ვყავდი შეფარებული... არ ვიცი აქ მონათხრობი სინამდვილეს რამდენად შეესაბამება და პრინციპში ეს არცაა იმდენად საინტერესო... აქ საინტერესო ლექსიკაა, მეგრული ენის ლექსიკა... შესაძლოა ტექსტის შინაარსი მეგრული ენის მეტნაკლებად მცოდნეებმაც კი ვერ გაიგონ სრულად... და რაოდენ დასანანია, რომ ეს უძველესი, უმშვენიერესი და უმდიდრესი ენა გაქრობის პირასაა... რაოდენ დასანანია, რომ ქართველური საზოგადოებრიობა იოტისოდენაც არაა ამის გამო შეწუხებული... რაოდენ დასანანია, რომ ხელისუფლება-მთავრობა ყრუა და მას არასდიდებით არ სურს მოისმინოს, შეისმინოს ჩვენი, ერთეული ენთუზიასტების მიერ მრავალგზის გაკეთებული მოწოდებანი და ბოლოსდაბოლოს შექმნას ქართველურ ენათა დაცვა-განვითარების რეალური პროგრამა და მექანიზმები...

ახლა კი, გთხოვთ წაიკითხოთ რეპრესირებული, დაკნინებული და მომაკვდავი მეგრული ენით მოთხრობილი ეს ამბავი...

**“რუსეფიში მაფა ნიკოიაში ბორჯის ართი მარგალქ ფილთაში თოფით დო ვილ კოჩი... მუ რაგადი ოკო – მა ვილარი ოჭოფეს დო მოწამეთ ხოლო ქ მიყუნეს მიდგარენი მარგალი... მეურც გარჩიება. რუსი რე მოსამართე, მარგალც ვაუჩქ რუსული, ის უჩქუ ხვალე მარგალური ნინა დო გინმათანგალო რე ჭანაფილი მიდგარენი... უწეს მარგალც, აბა გირჩქილეთია დო ქიდიჭყია პატინი მუს ზოჯუნქიანი... ბაშლაყი კინოკირელი, ოშმეში ეწკუმონტილი კოჩქ ქიდიჭყ, მარა მუ დიჭყ: ოჭმარეში მორღიას რინტუში გინორა უაში ბორჯის გუგულქ ღინჯაფი მიოტუ... ლანჯიში სვარილი დიშქა კილეშა ქიკლებხურგი დო ყებურც ქეკვოჯორგი. კაჩას კარდილა დო ხვარჩენც ქევულანჭე, დოფა გაკნოფჩხირკე, ღოჭა-ღოჭაში ხუმლა ხაფსულეფი ლახვატათ ქათვოდგუმორი, ხვანჯარშა კვეცი-აბედი გილამბუდ, დაჩხირ ქათვუგერგენჯე, გოხვიხვონდ გურქ... ცანდირი ანჯარიში ნაგვარჯა ჯვემაში თუთუმი სათმოს ქინვოჯუჯუხე, მუმული ნორცხვა ქუმნუოგვახი, ქაწიბჭუბურე დო ქაწიბჭუბურე... გოტყვაჟ კაჟიში ფილთაქ, გეპტურინი დო მიპტირკონუქ ომანგაფუთ, ლაკაცია დო ჭუბურიში ხარხიში ღანდა გეგნობყვენგი, ომბოლ ძიგირც ქიგუახაბარკი პატინ ჩქიმ ზოჯუნქუნი, ჩიგორგალაია ქოფქიმინი დო აკიპუბროსკი!..**

**მარგალი ათეს იჩიებუდუნ თეში გამწოლ გინმათანგალქ დო გოღირთუ: სოდე აკიპუროსკინ ეთექი ქიგეზიკინაფედკოვა, ეთექი ქიგეიტებუდკოვა უჯგუში შური ენა მა ვეგნოითანგავადა!”**

ზურაბ კვარაცხელია

მოვლენათა კვალდაკვალ

## ზვიად გამსახურდია 77

### *ეროვნული გმირი*

31 მარტი საქართველოს პირველი და ერთადერთი კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ჩინებულ მკვლევარს, მთარგმნელს, პოეტს და პოლიტიკოსს, 31 მარტს 77 წელი შეუსრულდებოდა.

სწორედ 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი შეკითხვით: „ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტს საფუძველზე?” სწორედ საქართველოს მოსახლეობის 98%-მა დადებითად უპასუხა. ეს იყო ქართველი ხალხის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი გამარჯვება, რომლის სულის ჩამდგმელებიც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყვნენ. დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებიდან კი 25 წელი გავიდა. ქ. სენაკში მუსიკალური სკოლის, ს. ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. საღამოზე შეიკრიბა პრეზიდენტის თანამებრძოლები. საღამოს უძღვებოდა ზვიად გამსხაურდიას ყოფილი დაცვის უფროსი ანდრო კანკავა, რომელმაც ისაუბრა, რომ 1991 წლის დეკემბერში ქართველი ხალხის მტრების მიერ წაქეზებულმა ოპოზიციამ, იარაღის გამოყენებით დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. იგი იძულებული შეიქმნა სამშობლოდან გადახვეწილიყო. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ: ეროვნული მოძრაობის წევრები, ყოფილი დისიდენტი იგორ ბოჯგუა, არდევან გვასალია, როლანდ ბერიძე და სხვები. იყო სევდიანი, ტკივილიანი და ცრემლიანი მოგონებები...

ბატონი ზვიადი იყო საქართველოს პირველი ღირსეული პრეზიდენტი, განუმეორებელი პატრიოტი თავისი ქვეყნისა და ერის. მან აირჩია მოწამეობრივი გზა, მას შეეძლო გაენადგურებინა ოპოზიცია, მაგრამ ის ამ ქვეყნიდან წავიდა ვაჟკაცურად, მორალურად გამარჯვებული. მას უფალმა მიანიჭა იმის უნარი, რომ ყოფილიყო სამშობლოსათვის წამებული რაინდი. ვაგლახ! რომ მას არ ეღირსა ქართველი ხალხის სრული განთავისუფლება და დამოუკიდებლობა იმ უღლისაგან, რომელიც ახლაც ადგას გლობალ-მასონებისაგან.

ბიჭიკო თუნთია,
სენაკი



# საქართველოში არსებული ზოგიერთი კანონი აღმშენებელია, თუ დამანგრეველი?

რამდენიმე წლის წინათ ვწერდი: **„კაცობრიობისათვის ცნობილი ისტორიის მანძილზე არცერთ დროში არ ყოფილა ისეთი მრავალმხრივი და ტოტალური შემოტევა ეროვნულ ცნობიერებაზე და ღირებულებებზე, როგორც ეს ჩვენს დროში მიმდინარეობს“** და ხაზს ვუსვამდი იმ დამანგრეველ მდგომარეობას, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი ალენ დალესის დოქტრინის სრული რეალიზაციით თავს დაატყდა ლეგენდარულ იბერთა მოდგმას.

დასაფიქრებელია, კაცობრიობის უვერაგესი მტრის აღნიშნული პროგრამიდან მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტი წარმატება რატომ ჰპოვა საქართველოში მისმა იდეამ: **„შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას და უპრინციპობას. ბიუროკრატიზმი აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე. მხოლოდ ზოგიერთები გაიგებენ კიდეც, თუ რა ხდება. მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩავაყენებთ არამოდურ მდგომარეობაში და ქვეყნის სასაცილოდ გავხდით. მოვახერხებთ, რომ ცილი დასწამონ მათ, ვიბრძოლებთ ადამიანთა გასარყვნელად ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან, ყოველთვის გაკეთდება არჩევანი ახალგაზრდებზე, რომ მოვთაფლოთ და გავწვრთნათ ისინი. ახალგაზრდებისაგან შევქმნით კოსმოპოლიტებს, ჯაშუშებს“.**

ალენ დალესის ამ პროგრამის თითოეული სიტყვის მნიშვნელობის სრული რეალიზაციის მცდელობა ნათლად ჩანს პარლამენტისა და განათლების სამინისტროს გეგმებსა და მოქმედებებში. მაგრამ ერისა და საზოგადოების ყველაზე დამანგრეველი მაინც გადარჩენის უიმედობაა. უიმედობას კი, ყველაზე ეფექტურად, ქვეყანაში დამკვიდრებულ-გაბატონებული არაეროვნული, მარიონეტული სახელმწიფოებრივი აზროვნება, საზოგადოების მცირე ჯგუფზე მორგებული, ზნეობრიობისაგან დაცლილი სამართლებრივი სისტემა და ამ ჯგუფის მიერ მართვის სისტემის, კერძო, ბიზნესის სფეროდ გადაქცევა ანვითარებს. ამ მიმართულებით ყველაზე დამანგრეველი, პირდაპირ ვიტყვი, ჩვენი ერის უპირველესი და უვერაგესი მტრების – ყევერ-ურია-მასონის – ედუარდ შევარდნაძის, დაშნაკი სომეხის – მიხეილ სააკაშვილისა და მათი გარემოცვის მიერ შემუშავებულ-დამკვიდრებული სამართლებრივი სისტემაა.

აქ ჩამოყალიბებული რეალობა ზოგადი და ტრაფარეტული რომ არ გამომივიდეს, სჯობია, ფაქტებით დავადასტუროთ.

გაზეთ **”ილორის“** 2016 წლის თებერვლის 349-350 ნომრებში გამოქვეყნდა ჩემი წერილი – ”**როგორ ”იცავენ“ სამართლის მცოდნენი სიმართლეს, ანუ ადვოკატ კახაბერ ქარდავას საძმოს „საქმენი საგმირონი“,** სადაც ვამხილე მოსამართლე – ლევან გვარამიას მიერ 2015 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული, **„მელა მოსამართლის“** იდენტური და ტენდენციური სასამართლო პროცესი და ამ ვრცელი მასალადართული განცხადებით მივმართე საქართველოს უზენაეს სასამართლოს და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რამეთუ მაინტერესებდა რანაირ რეაგირებას მოახდენდა აღნიშნული ინსტანციები აშკარად დისციპლინური გადაცდომებით მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

უზენაესი სასამართლოდან მივიღე დაახლოებით ისეთი პასუხი, როგორსაც მოველოდი, მაგრამ გამაოგნებელი აღმოჩნდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო ეთიკის დეპარტამენტის უფროსის ვალერიან გვაშელის პასუხი (№317/292-03ო, 18.02.2016 წ.): ”...**საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის** თანახმად, **„დისციპლინური სამართალწარმოების დროს აკრძალულია მოსამართლის მიერ გამოტანილ სასამართლო აქტის კანონიერების შემოწმება“.**

ამასთან, **„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს აღნიშნული კანონით დადგენილი წესით, ...ახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას და მსჯელობს მხოლოდ მოსამართლის ქმედებაზე დისციპლინურ სამართალწარმოების წესით“.** საინტერესოა, როცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აკრძალული აქვს **„მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის კანონიერების შემოწმება“,** როგორ **„მსჯელობს მოსამართლის ქმედებაზე იმავე დისციპლინურ სამართალწარმოების წესით?“**

ასეთი კანონის არსებობის შემთხვევაში, ბუნებრივია, მოსამართლე წინასწარ მიიღებს, უმრავლეს შემთხვევაში, განსაკუთრებით, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მხარის საწინააღმდეგო, თავისთვის სასურველ და ხელსაყრელ გადაწყვეტილებას, რადგან უმწეო მოსარჩელისაგან ვერაფერს მიიღებს, ხოლო გაზულუქებული მძარცველისაგან შეუძლია ხელები მოითბოს. აღნიშნულ შემთხვევაში აშკარაა, მოსამართლეს წინასწარ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება, რომ არ დაეკმაყოფილებინა ჩემი მოთხოვნა. ისარგებლა რა ჩემი გამოუცდელობითა და ეკონომიური მდგომარეობით (არ შემეძლო ადვოკატის დაქირავება), მოსამართლე ლევან გვარამიამ აბსოლუტურად უგულებელჰყო ჩემი შეუვალი მტკიცებულებები იმ ფაქტზე, რომ მე 2014 წლის იანვარ-აპრილში არ ვცხოვრობდი გარდაბნის გზატკეცილზე და არავითარი ვალდებულება არ მქონდა **„თელასის“** წინაშე ამ პერიოდში კორპუსში მოხმარებული ელენერგიისა. და, მიუხედავად იმისა, ოფიციალური განცხადებით მივმართე მოსამართლეს, დაებარებინა აღნიშნულ კორპუსში მცხოვრები, **„თელასის“** არაოფიციალური წარმომადგენლები: კახაბერ ქარდავა და ზაურ და გია ნარმანიები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ხელოვნურად გაზრდილი ელენერგიის საფასურის ფაქტიურად მომხმარებელ და არამომხმარებელ აბონენტებს შორის თანაბრად გადანაწილებით და ამ მიზნით აშინებდნენ მობინადრეებს დენის გამორთვის მუქარით, უნდა დაემტკიცებინათ სასამართლოს წინაშე, რომ **„მე ჩემი ოჯახით ვცხოვრობდი კორპუსში 2014 წლის იანვარ-აპრილის თვეებში და აღნიშნულ პერიოდში დახარჯული ელენერგიის მოხმარებაში მონაწილე ვიყავი“,** ან უნდა ეღიარებინათ, რა პირობით მოვაწერე ხელი ჯერ განცხადებას და შემდეგ ხელშეკრულებას, მაგრამ მოსამართლემ ისინი სპეციალურად არ დაიბარა, რომ გაადვილებოდა ჩემი მოთხოვნის იგნორირება.

მოსამართლემ ჩემი ერთი მოწმეც არ დაუშვა სასამართლო დარბაზში, რომ არავის დაედასტურებინა, როგორ უარყოფითად იყო იგი განწყობილი ჩემს მიმართ და როგორი დისციპლინური გადაცდომებით მიჰყავდა მას მთელი სასამართლო პროცესი.

როცა **„დისციპლინური სამართალწარმოების დროს აკრძალულია მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის კანონიერების შემოწმება“,** რა უშლის მოსამართლეს ხელს და რა ზღუდავს, რომ სასამართლო პროცესი არ წაიყვანოს დისციპლინური გადაცდომებით? თუ მოსამართლე სულიერ-ზნეობრივად სრულყოფილი და სამართლის პრინციპული დამცველი არ არის, რა შეუშლის ხელს **„მელა მოსამართლის“** პრინციპით იმოქმედოს მთელი თავისი **„მოღვაწეობის“** მანძილზე? როცა სახელმწიფო დონეზე დათრგუნულია სამართლიანობა და სახელმწიფო მოხელეებისათვის სახელისუფლებო სავარძელი მხოლოდ ქურდული ბიზნესის წყაროა, ანუ როცა ბოროტებას და უსამართლობას ზეობის ხანა უდგას და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არსებობა, თითქმის, დამთავრებულია, **„სხვისი ჭირის (და შეურაცხყოფის, კ.ფ.) ღობეს ჩხირად“** მიმჩნევი მოსამართლე – ლევან გვარამია უზენაესისგან მოვლენილი ზეკაცი ხომ არ იყო, მის წარმოდგენაში **„184 ლარს გამოდევნებული მეწვრილმანე კუკური ფიფიას“** სიმართლე დაედგინა და მუქთა შემოსავლის წყაროს მფლობელ, ყველაზე გაზულუქებული მძარცველის, **„თელასის“** ხელმძღვანელის ინტერესი უგულებელეყო?

იუსტიციის უმაღლესი საბჭო კი, რომ განიხილოს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომები, მოითხოვს ფაქტებს და იმ ფაქტების მტკიცებულებებს. განა დისციპლინური გადაცდომა არ იყო, რომ მოსამართლემ სპეციალურად არ დაიბარა ჩემს მიერ მითითებული პირები და, ჩემი და მოპასუხის გარდა, არავინ დაუშვა სასამართლო დარბაზში? მოწმე იყო მხოლოდ მოპასუხე, რომელსაც ერთი სიტყვაც არ ამოუღია მთელი პროცესის განმავლობაში, რადგან არც მოსამართლეს დაუსვამს მისთვის ერთი კითხვა და არც ჩემთვის მოუცია საშუალება დამესვა მისთვის მრავალთაგან, თუნდაც, ერთი კითხვა. და განა ეს დისციპლინური გადაცდომა არ არის? განა დისციპლინური გადაცდომა არ იყო, რომ მოსამართლემ უგელებელჰყო ჩემი ფიზიკური მდგომარეობა, კერძოდ, მხედველობის დაქვეითება? რითაც ისარგებლა **„თელასის“** წარმომადგენელმა და ხელი მომაწერინა ისეთ ხელშეკრულებაზე, რომელსაც ვერასოდეს მოვაწერდი ხელს, რომ საფუძვლიანად გავცნობოდი მას. ხოლო ხელშეკრულებაზე საფუძვლიანად გაცნობა იმიტომ ვერ შევძელი, რომ იმ მომენტში არ აღმომაჩნდა საკითხავი სათვალე (+6). ხოლო ჩემი შეცდომა ის იყო, რომ მგლის ხროვის წარმომადგენელს ვენდე და მექანიკურად მოვაწერე ხელი.

როცა არსებობს კანონი, რომელიც მოსამართლის აღვირახსნილობას ჯავშნად უდგას და გამორიცხულია სასამართლო დარბაზში სასამართლო პროცესის ჩამწერი აპარატის შეტანა, დისციპლინური გადაცდომების რა მტკიცებულებების მოპოვებაზეა საუბარი და ლევან გვარამიამაც – იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, ამ დარგში საკმაოდ განსწავლულმა პიროვნებამ, ისე ზუსტად გაიმეორა, ჩემი საჩივრის განხილვისას, **„მელა მოსამართლის“** მიერ ჩატარებული სასამართლო პროცესი, რომ ასეთი სიზუსტით სასამართლო პროცესის ინსცენირება თვით ამ ზღაპრის ავტორს შეშურდებოდა.

საინტერესოა, უზენაესი სასამართლო განიხილავდა ჩემს სარჩელს, რომ შემეტანა საკასაციო საჩივარი, როცა სააპელაციო სასამართლო თურმე არ განიხილავს საჩივარს, რომელიც ეხება 1.000 ლარზე ნაკლებ თანხას?

და ბოლოს, როცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აკრძალული აქვს **„მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო აქტის კანონიერების შემოწმება“,** რას აკეთებს ის უკეთესს და რატომ იხარჯება კოლოსალური თანხა ამ უწყების შესანახად, თუ საქართველოს ბედი ხელისუფლებას ცალ ფეხზე არ ჰკიდია, მისი არსებობა-არარსებობა საბოლოოდ გადაწყვეტილად და დამთავრებულად არ მიაჩნია და ქვეყნის დამანგრეველ სისტემას მხოლოდ იმიტომ არ იყოს ჩაჭიდებული, რომ დარჩენილი ეროვნული სიმდიდრის დატაცებაში სხვას რომ არ ჩამორჩეს?

ვაი, უბედურო საქართველოვ, რამდენი თავდასხმა, რამდენი ღალატი გადაგილახავს, რამდენი ვერაგობისაგან თავდახსნა შეგძლებია და ვის შეეძლო შენი დამარცხება, რომ უზენაესი არ მოგემდურებინა?

ერთხელ კიდევ დაფიქრდი ქართველო ერო! ნუთუ დაგავიწყდა, რომ მონობას შეგუებული ადამიანი ყველაზე უსაზიზღრესია დედამიწაზე არსებულ საზიზღრობებს შორის? ნუთუ ისე გამოთაყვანდი, რომ ვერ აცნობიერებ, მონურ სიცოცხლეს მონური ყოფის წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილი ათასჯერ სჯობია?

თქვენ კი გენით ქართველო, მაგრამ საქმითა და ცხოვრების წესით მანქურთებს აყოლილო, ყევერ-მასონთა დაშინებულ-მოსყიდულო მატერიალური სიმდიდრის მონებო, უდიდესი შანსი გეძლევათ დაძლიოთ თქვენში არსებული ეგოიზმი და ანგარება და იხსნათ საქართველო გარდაუვალი გადაშენებისაგან და ამით იხსნათ საკუთარი სულიც, არადა, ნუ გგონიათ დაუნდობლობით, ტყუილებით, ცრუ დაპირებებით, ყევერ-მასონთა საქმეების კეთებისათვის და მოძმეთა და ქვეყნის ძარცვა-ღალატით მოპოვებული სიმდიდრე მარად შეგრჩეთ თქვენ და თქვენს შთამომავლობას!

და ბოლოს, მომავალმა პარლამენტმა და ხელისუფლებამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე უნდა მიიღოს კანონები, რომლებიც ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ქვეყნის აღმშენებლობას, მათ შორის, ისეთი კანონი, რომლის თანახმად, შემდგომ არჩევნებში საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ იქნება მუხლი **წინა არჩევნებში არჩეული პირის მუშაობის ხარისხის შეფასების შესახებ** და, შესაბამისად, მიღებულ იქნეს კანონი ამ პირთა **სათანადო პასუხისმგებლობის შესახებ.**

გვეყოფა ცრუ დაპირებების მოსმენა! იმ კანდიდატს, რომელსაც თავის პროგრამაში ასეთი კანონის მიღება არ ექნება გეგმად და წინასწარ (არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე) პრესაში გამოქვეყნებული, ცხადია, ის ხელისუფლებაში მოძვრება მხოლოდ იმ მიზნით, რომ ძარცვოს ქვეყანა და ასეთ კანდიდატს ხმა არ უნდა მისცეს ქვეყნის პატრიოტმა ამომრჩეველმა!

**კუკური ფიფია,**
**„ფაზისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი**

## სკანდალი: პაპუაშვილი, ამხელა ფილარმონია კაცი, მემწვანილის ცოლმა შეაშინა

**ამასწინათ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ, გიორგი პაპუაშვილმა სკანდალური განცხადება გააკეთა.**

**“მემუქრებიან, მაშანტაჟებენ, უღირსი კადრების ატვირთვას მიპირებენ”** – ისტერიკაში იყო ჩავრდნილი ყმაწვილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამართალდამცავებმა საქმე მალევე აღძრეს და გამოძიება დაიწყეს.

დაიკითხნენ პაპუაშვილი და მისი მეუღლე – თეა ხოფერია, რომლის ტელეფონზეც მუქარანარევი ზარი განხორციელდა.

თურმე, ნუ იტყვით და პირი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ოჯახის წევრს ემუქრებოდა, მემწვანილის ცოლია, რომელიც მათ ეზოში მწვანილსა და ბოსტნეულს ყიდის.

**“ამ თემაზე საუბრის სურვილი არ მაქვს, უკაცრავად. ეს ამბავი მე არ გამიხმაურებია”,**– აცხადებს პრესასთან პაპუაშვილის მეუღლე.

ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა, ამ ამბავთან დაკავშირებით კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს:

**– “ამხელა ფილარმონია კაცი გიორგი პაპუაშვილი, რომ გამოვარდა და ტელეეკრანიდან ყვიროდა, ჩემს ოჯახს ემუქრებიანოო, სინამდვილეში, თურმე რა მომხდარა:**

**ნაცნობ მემწვანილეს, რომელსაც აქტიური მყიდველების მობილურის ნომრები როგორც წესი ჩაწერილი აქვს, ერთ დღესაც სახლში ისვენებდა. მის ბავშვს შემთხვევით თითი დაუჭერია პაპუაშვილის ცოლის ნომერზე, მემწვანილეს შვილისთვის დაუყვირია მოეთრიე აქ თორემ მოგკლავო. პაპუაშვილის ცოლს გონებია მას ემუქრებოდნენ და ატეხა მისმა ქმარმა კივილი, აღიძრა საქმე, მიიყვანეს მემწვანილე და მოყვა ამბავი, ასე გაბანძდა ამხელა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე კაცი, ესენი გვაჯდნენ თავზე ხომ?”**

p.s.– რას გიშვებათ ეს ივანიშვილი?! – ირონიით წერს ჯღარკავა.

## მუხურში მეფუტკრეობის ლაბორატორიებს აშენებენ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურში, ქართული ფუტკრისა და თაფლის თანამედროვე ლაბორატორიების მშენებლობა მიმდინარეობს.

კერძო კოოპერატივის „მუხურის ფუტკარის“ დირექტორმა ბონდო აბაშიძემ საინფორმაციო სააგენტო „ლაივპრესს“ განუცხადა, რომ ლაბორატორიებში მოხდება ფუტკრის მოშენება, მისი ჯანმრთელობის და გენეალოგიის კვლევა.

**„მას შემდეგ, რაც მუხურში საბჭოთა პერიოდში გაშენებული ფუტკრის საჯიშე მეურნეობა სრულიად განადგურდა, ჩვენი ფუტკარი გადაჯიშდა, გამოვიკვლიეთ 1000 ოჯახი ფუტკარი, მათ შორის ვარგისი მხოლოდ 15 აღმოჩნდა. არა და, მუხურის ფუტკარი უნიკალურია. მისი ხორთუმის სიგრძე 7,2-ია. მას ანალოგი არ ყავს“,** – განაცხადა ბონდო აბაშიძემ.

მისივე ცნობით, სოფელ მუხურში მშენებარე მეფუტკრეობის ლაბორატორიის ბაზაზე სასწავლო ცენტრიც გაიხსნება, სადაც დაინტერესებული ახალგაზრდები მეფუტკრეობის საფუძვლებს დაეუფლებიან.

მუხურში ლაბორატორიების მშენებლობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს.

საინფორმაციო სააგენტო „ლაივპრესი“ ამზადებს დაწვრილებით რეპორტაჟს მუხურის მეფუტკრეობაზე, იქ ჩატარებულ სამუშაოებზე და შედეგებზე, რომელსაც მალე შევთავაზებთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# „მარაკანა" თუ „უემბლი"? ბედნიერი ვარ ამ ორ სტადიონზე რომ ვითამაშე"



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

**სერგო კოტრიკაძე:** „1962 წელს შესანიშნავ ფორმაში ვიყავი, ნაკრების პირველი მეკარე ლევ იაშინი კი პირიქით, შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის წინ ნაკრების მთავარი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი მამხნევებდა, თუ ასე გააგრძელე, მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი მეკარე იქნებიო. მწვრთნელებმა ჩილეში კი წამიყვანეს, მაგრამ იქ მაინც იაშინს ანდეს კარი. ჯგუფურ ტურნირში მან კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა, ამიტომ, მეოთხედფინალის წინ კაჩალინმა მითხრა, მოემზადე, შენი დრო მოვიდაო. ფრთები შემესხა, მაგრამ რად გინდა? კარში კვლავ იაშინი ჩადგა და სწორედ მისი შეცდომის გამო გამოვეთხოვეთ შეჯიბრებას. წლის ბოლოს ჟურნალმა **„ოგონიოკმა"**, რომელიც ქვეყნის საუკეთესო მეკარეს ავლენდა, მთავარი პრიზი მე გადმომცა — ეს ერთგვარი ნუგეში იყო.

სამხრეთ ამერიკაში მსოფლიო ჩემპიონატამდე კარგა ხნით ადრე გავემგზავრეთ — აკლიმატიზაცია უნდა გაგვევლო. ერთ-ერთი ტესტ-მატჩი კურასაოში ჩავატარეთ ადგილობრივ ნაკრებთან თუ კლუბების ნაკრებთან, ეხლა ზუსტად არ მახსენდება... კაჩალინმა კარის ნაცვლად ნახევარდაცვაში დამაყენა და ერთი გოლი გენადი გუსაროვმა ჩემი პასით შეაგდო. მეორე ტაიმში კარში ჩავდექი — დაშავებული მასლაჩენკო შევცვალე და რამდენიმე ძლიერი დარტყმაც მოვიგერიე. მეორე დღეს ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთი წერდა, საბჭოთა კავშირის ნაკრების დამარცხება ძალიან ძნელი იქნება, ფეხბურთელები ერთდროულად ჩინებული მეკარეებიც არიან და თავდამსხმელებიცო".

**ვლადიმერ გუცაევი:** „ნაკრებში ყველაზე კარგი სიტუაცია, ვფიქრობ, ნიკიტა სიმონიანის დროს იყო: მართლაც საუკეთესოებს იწვევდა. სწორედ იმ წლებში იყო ყველაზე მეტი თბილისელი ნაკრებში: ალექსანდრე ჩივაძე, დათო ყიფიანი, ვიტალი დარასელია, რამაზ შენგელია, თენგიზ სულაქველიძე, მე... მგონი, სიმონიანის დროს ითამაშეს მანუჩარ მაჩაიძემ, ვახტანგ ქორიძემ და ნოდარ ხიზანიშვილმაც".

**თენგიზ სულაქველიძე:** „1980 წელს პირველად ვითამაშე ლეგენდარულ **„მარაკანაზე"**. ეს ჩემთვის გაუხუნარი მოგონებაა! როგორია, მატჩამდე სამი საათით ადრე სტადიონი რომ ივსება?! გადაჭედილ არენებზე მანამდეც მითამაშია, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი **„დინამო"** სულ სავსე ტრიბუნების წინ არ თამაშობდა?! მაგრამ **„მარაკანა"** სხვა განზომილება იყო, თან მეტოქესაც ხომ აქვს მნიშვნელობა? ტელე სანტანას ბრაზილია ძალიან ლამაზი და ძლიერი გუნდი იყო! სოკრატესი, ზიკო, ედერი, ჟუნიორი, ფალკაო... რომელი ერთი ჩამოვთვალო? მოთელვაზე რომ გავედით მინდორზე, 130 ათასი კაცი გუგუნებდა! მე და საშა ჩივაძე მონუსხულები ვუყურებდით ტრიბუნებს, პირველ ტაიმში კი მთელი ნაკრები წესიერ პასს ვერ ვაკეთებდით... თავიდან ბრაზილიამ გაიტანა და ვიფიქრე, **„გადაგვივლიან"**-მეთქი, მაგრამ ნელ-ნელა გონს მოვეგეთ, მერე, ზიკომ რომ პენალტი ვერ გაიტანა, ცოტა გავთამამდით და საბოლოოდ 2:1 გავიმარჯვეთ! დიდებული საღამო იყო!

**„მარაკანა"** თუ **„უემბლი"**? ალბათ ბედნიერი ვარ ამ ორ სტადიონზე რომ ვითამაშე. ჩემთვის **„მარაკანა"** უფრო შთამბეჭდავი იყო. როგორ გითხრათ, ტევადობას რომ თავი დავანებოთ, საფეხბურთო აურა ბრაზილიაში უფრო იგრძნობოდა — ფეხბურთი ბრაზილიაში ნამდვილი რელიგიაა, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ ინგლისელებს ნაკლებად უყვართ თამაში. **„უემბლი"** მხოლოდ ერთი რამით სჯობდა **„მარაკანას"** — ეს მინდვრის საფარია.

1982 წელს პირველად და უკანასკნელად ვითამაშე მსოფლიო ჩემპიონატზე. ძალიან ბედნიერი ვიყავი ნაკრების საბოლოო შემადგენლობაში რომ მოვხვდი, დღეებს ვითვლიდი ტურნირის დაწყებამდე! მიმაჩნდა და ახლაც ამ აზრზე ვარ, რომ საბჭოთა კავშირის ის ნაკრები მართლა კარგი გუნდი იყო და მწვრთნელებს ვოვა გუცაევი და დათო ყიფიანიც რომ წაეყვანათ ესპანეთში, საერთოდ ზღაპრული შემადგენლობა გვეყოლებოდა! თუმცა რაც იყო იყო, ერთი იმაზე მწყდება გული, რომ მეტი ვერ შევძელით. არადა, შანსი ნაღდად გვქონდა.

იმ ჩემპიონატისთვის ძალიან დიდხანს ვემზადებოდით, რაც, ჩემი აზრით, შეცდომა იყო. ორჯერ ვიყავით ესპანეთში შეკრებაზე: ზამთარში და მერე გაზაფხულზე. დღეში ორჯერ, ხანდახან სამჯერაც გვავარჯიშებდნენ, შუაში კი კომერციულ მატჩებს ვატარებდით ადგილობრივ კლუბებთან. არასწორად დაგეგმილმა შეკრებებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო — ბევრი მოთამაშე ჩემპიონატამდე **„გადაიწვა"**.

ელკიაერ-ლარსენი? ჰოოო, მის გამო 1986 წელს მექსიკაში, ჩემთვის მეორე მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ვითამაშე, თუმცა ეს უფრო ნაკრების მწვრთნელის ედუარდ მალაფეევის ბრალი იყო, ვიდრე ლარსენის. დანიასთან წაგებული თამაშის შემდეგ მან ყველაფერი მე დამაბრალა, ასე განაცხადა, თითქოს ელკიაერთან პერსონალურად უნდა მეთამაშა, არადა დაცვის ოთხეულს ზონაში თამაში დაგვავალა. მოკლედ, დანიამ გადაგვიარა, წაგებაში კი მალაფეევი პირადად მე **„მადანაშაულებდა"**. მას პირში ვუთხარი, არასწორად ლაპარაკობ-მეთქი. ამის გამო **„დამსაჯა"** — გუნდს ჩამომაშორა! სხვათა შორის, სანაკრებო გარჩევაზე ოლეგ ბლოხინმა და რინატ დასაევმა მე დამიჭირეს მხარი...

ვალერი ლობანოვსკის ძალიან მადლიერი ვარ. მიმაჩნია, რომ ის მსოფლიო დონის მწვრთნელი იყო. დამსახურებას არავის უკარგავდა. თუნდაც ჩემი შემთხვევა გავიხსენოთ — ლამის ფეხბურთიდან ვაპირებდი წასვლას, მან კი დაინახა, რომ კარგად ვთამაშობდი, ძველებურად ბოლომდე ვიხარჯებოდი და 1988 წელს ევროპის ჩემპიონატზე წამიყვანა, სადაც ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. ხომ გითხარით, მწვრთნელების მხრივ თითქმის ყოველთვის მიმართლებდა-მეთქი".

**ალექსანდრე ჩივაძე:** „საბჭოთა კავშირის ნაკრებში 1979 წლის მიწურულს მოვხვდი. ჩემი პირველი დიდი ტურნირი 1980 წელს მოსკოვში გამართული ოლიმპიური თამაშები იყო. იქ თენგიზ სულაქველიძესთან და რეზო ჩელებაძესთან ერთად ვითამაშე და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე. მაშინ ჩვენგან ყველა ოქროს ელოდა, მაგრამ ნახევარფინალში მაშინდელ გდრ-ის ნაკრებთან დავმარცხდით.

1981 წელს არგენტინაში მასპინძელთა ნაკრებს ამხანაგურად ვეთამაშეთ. სწორედ იმ შეხვედრაში გავუცვალე მაისური დიეგო მარადონას. მერე ეს ძვირფასი სუვენირი კაფე **„მსოფლიო სპორტს"** ვუსახსოვრე. არგენტინასთან იმ მატჩში ჩემს გარდა კიდევ ხუთმა დინამოელმა ითამაშა: თენგიზ სულაქველიძემ, რამაზ შენგელიამ, ნოდარ ხიზანიშვილმა, ვიტალი დარასელიამ და დავით ყიფიანმა.

მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის წინ საბჭოთა კავშირის ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა. გუნდში ბევრი კარგი ფეხბურთელი იყო, საქმისადმი სწორი მიდგომის შემთხვევაში ჩვენ მართლა შეგვეძლო ესპანეთში წარმატებით გამოსვლა, მაგრამ როცა სამი მწვრთნელი დაგვინიშნეს, მივხვდი, რომ საფეხბურთო კავშირში სხვანაირად ფიქრობდნენ. ახალკაცის, ბესკოვის და ლობანოვსკის ერთად დანიშვნა დიდი შეცდომა იყო და ეს ესპანეთში ნათლად გამოჩნდა: ბესკოვი სხვანაირად გვავარჯიშებდა, ლობანოვსკი სულ სხვას ითხოვდა ჩვენგან... მოკლედ, სამწვრთნელო შტაბში დიდი არეულობა იყო.

ესპანეთში პირველივე შეხვედრაში ბრაზილიას ვეთამაშეთ. მანამდე შვედებთან ამხანაგურ მატჩში კუნთი დამეჭიმა, სრული დატვირთვით მხოლოდ ბრაზილიასთან თამაშის წინ ვივარჯიშე. კარგად დავიწყეთ, ვიგებდით კიდეც... მერე მსაჯმა რამაზ შენგელიას გოლი არ ჩაუთვალა და პენალტიც არ მოგვცა, სულ ბოლოს კი სოკრატესის და ედერის ზღაპრული გოლები იყო... მოკლედ, წავაგეთ — 1:2.

შოტლანდიასთან მე და რამაზ შენგელიამ გავიტანეთ გოლები. ხომ გახსოვთ, მეტოქემ პირველი ბურთი ჩემი უხეში შეცდომის შემდეგ შეაგდო. რომ წარმოვიდგინე რა რეაქცია ექნებოდათ ამაზე მეუღლეს, მშობლებს, მეგობრებს, მთელ საქართველოს, მივხვდი, რომ მომხდარი თავადვე უნდა გამომესწორებინა. შევედით გასახდელში და კაციშვილი ხმას არ იღებს, ვგრძნობ, რომ როგორც კაპიტანმა, რაღაც უნდა ვთქვა და დავიწყე: ბიჭებო, ასე საზიზღრად არასდროს მითამაშია, მაგრამ რადგან წინ მეორე ტაიმია, მენდეთ, ეს ჩემი თამაში იქნება და გეხვეწებით, ამყევით-მეთქი! ხმა არავის ამოუღია, ძალიან აღგზნებული ვიყავი... საბედნიეროდ, მეორე ტაიმში ყველაფერი კარგად წარიმართა".


## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374


## იუმორი

იდეალური ქორწინება ადამს და ევას ჰქონდათ: ადამს არავინ ეუბნებოდა, რა კარგი გოგოს მოყვანა შეეძლო... არც ევას უწევდა ადამისგან მიესმინა — რა კარგი დიასახლისი იყო დედამისი...

* * *

მახინჯაურში მატარებლიდან სომხების ოჯახი ჩამოვიდა. მათ მაშინვე აედევნა ტაქსის მძღოლი:

— ტაქსი არ გინდათ, ბათუმამდე იაფად წაგიყვანთ...

— მაინც რამდენად?

— 10 დოლარი — უფროსებზე, პატარებს კი უფასოდ წავიყვან...

— სათენიკ, ანუშ, არევიკ, ლოვიკ... ჩასხედით მანქანაში, ჩვენ ფეხით გამოვისეირნებთ...

* * *

მიხოს სიდედრთან ჩხუბი მოუვიდა:

— განა არ ვიცი, შენ ჩემს სიკვდილს ელოდები, რომ მერე მოხვიდე და ჩემს საფლავს მიაფურთხო!

— ძალიანაც ცდები... კარგად იცი, მაგას ვერ ვიზამ — ჭირივით მეჯავრება რიგში დგომა...


## გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.



დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებს მისი ვაჟიშვილი ზეზვა.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge